პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 114 (20455) — ხუთშაბათი, 18 მაისი, 1989 წელი. — ფასი 8 კაპ.

ᲓᲦᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

● **მაშინაც**, როდესაც სოფლის ყრილობა დახურულად გამოცხადდა, ხალხი არ ჩქარობდა კლუბის ეზოს დატოვებას. ოცზე მეტი ორატორი გამოვიდა, ორი იმდენიც რომ გამოსულიყო, სათქმელს რა დაულევდათ? ათეული წლების მანძილზე გამეფებულმა დუმილმა, მხოლოდ ტყუილნარევმა სიმართლემ გაალრმავა და გაართულა მრავალი საჭირბოროტო პრობლემა („ერთიანი ძალისხმევით").

● **„ᲯᲔᲠ** სახელწოდება „თემქაა" ყოვლად მოუხერხებელი და უგვანო. შემდეგ, თემქის დასახლება მოკლებულია ყოველგვარ სიკეთეს: არა გვაქვს ბაზარი, აბანო, კულტურული დაწესებულებები, სპორტულ მოედნებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მეტროს ხაზმა ისე აგვიარა გვერდი, რომ სიარული კვლავ ავტობუსებით გვიხდება" — რედაქციაში მოსულ ამ წერილს კვალდაკვალ ჟურნალისტს სხვა მრავალი ნაკლიც გადაეშალა თვალწინ („თემქაში, სევჟმარაზე"...).

● **ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ** შეიძლება ითქვას, რომ მთიან აჭარაში დატრიალებული უბედურება მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მიიტანა გულთან, თავის სატკივრად მიიჩნია. დახმარებამაც არ დაიგვიანა („ეხმარება მთელი ქვეყანა").

ᲕᲘ-2 83.

● **„ᲡᲬᲝᲠᲔᲓ** ახლა, როცა ჩვენ ყველანი სულგანაბული ველით ტრაგედიის ობიექტური გამოძიების შედეგებს, ზოგზოგები ძალზე გააზრებულად და მიზანდასახულად ცდილობენ ხალხის ყურადღება გადაიტანონ ეროვნებათშორის შუღლსა და სიძულვილზე („ხალხს მოყვარე მოყვრისათვის").

● **„ᲓᲦᲔᲡ** ყოველი პატიოსანი ადამიანი, - ცოცხალი ერის თავადანაც ცაცხვს, - ეროვნული ერის ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის — არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი... სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკეთილი სახელად და დიდებად მიაჩნია" — ბრძენი ილიას ეს სიტყვები ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ დადგა დრო ქართული ეროვნული დროშის ისტორიის სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლისათვის („ქართული დროშები").

ᲕᲘ-4 83.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ

მ. ს. გორბაჩოვისა და ლი პენის შეხვედრა

18 მაისს გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ლი პენის მოლაპარაკება.

ჩინეთის მთავრობის მეთაურმა დიდი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უმაღლესი დონის შეხვედრას, რომელიც მოასწავებს ორი შეზობელი ნაციონალისტური სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ბატონ. ლ. დაეთანხმა მ. ს. გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ახლა უდგება ახალი ეტაპი, ამასთან მნიშვნელოვანია კონტექსტი, რომელშიც ეს მიმდინარეობს. მსოფლიოში ალბათ იმის შეგნება, რომ საერთაშორისო გაერთიანება ადამიანურ ზღვარს მიუახლოვდა. დადგა ახალდელი რეალიებისადმი ორიენტაციის ქვეყნების ადაპტაციის პრობლემაც. გარკვეულწილად დრომ გვიკარნახა თავიანი მოთხოვნები, რომლებიც უნდა გადალახულიწინათ და მოვახდინოთ ჩვენი ტრანსფორმირება შესაბამის ორიენტაციად. საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაც, როგორც გვესმის, ერთნაირად საჭიროებენ ხელშემწყობ გარემოს პირობებს, რათა შეასრულონ თავიანთი გეგმები. მაგრამ ამავე ამთ როდი ამოიწურება. ჩვენ, ისევე როგორც სხვები, ანგარიშს ვუწევთ ბირთვულ და ეკოლოგიურ საფრთხეს, პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება ეკონომიკურად განვითარებულ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის გასხვავების გამო. ახლა არავის არ შეუძლია აარიდოს თავი და არც უნდა აარიდოს თავი მთ გადაწყვეტილება მონაწილეობის. და ვფიქრობ, არ ვეწინააღმეგ მეტისმეტად ამბიციურნი, თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო შემობრუნება, ბუნებრივია, არ შეიძლება მოხდეს სსრ კავშირისა და ჩინეთის მონაწილეობის გარეშე.

საუბრის დროს ორივე მხარემ გამოხატა საერთო გაგება იმისა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა შეიძლება წარმატებით განვთავრდეს მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობის საყოველთაოდ აღიარებული, უნივერსალური პრინციპების საფუძველზე. ეს სულაც არ ნიშნავს ორმოცდაათიან წლების ურთიერთობის დაბრუნებას. მაგრამ, უდავოა, არის თავის დაღწევა კონფრონტაციული სტიპაციისაგან, რომელიც შემდგომ პერიოდში იყო. საქმე ეხება, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, არა ხელოვნურ ინეკციას საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში. ჩვენი ქვეყნების მასშტაბი, მათი შესაძლებლობანი გვიკარნახებენ იმის საჭიროებას, რომ გვჭირდეს ფართო სასარგებლო კავშირურთიერთობა, ამ ურთიერთობისათვის კი საჭიროა შესაბამისი მექანიზმი.

ლი პენმა, თავის მხრივ, ილაპარაკა იმაზე, თუ ჩინეთი როგორ უყურებს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს. ჩვენ, თქვა მან, ქვეყნის შიგნით გვჭირდება სტაბილური პოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო ასპარეზზე კი მშვიდობიანი სიტუაცია. ეს საჭიროა ქვეყნის მოდერნიზაციის ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომელიც ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ჩვენში ყურადღება მიაპყრეს ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფციას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, მასში გამოყოფილია მთელი რიგი მომენტები, რომლებიც წარსულში საბჭოთა ხელმძღვანელობას არ გამოუთქვამს. რაც შეეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, აქ წამოყენებული იყო ახალი საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის იდეა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ხელმძღვანელობს თავის საერთაშორისო პოლიტიკაში.

მოლაპარაკების დროს დიდი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარების კონკრეტულმა საკითხებმა.

დაწვრილებით განიხილეს სამხედრო დაძაბულობის შენელების შემდგომი პერსპექტივები. ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არის შეამციროს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის რაიონებში განლაგებული ჯარები. დთქვეს შექმნან სამუშაო მოლაპარაკების მექანიზმი ორი ქვეყნის მთავრობებისათვის წინადადებების შესათავაზებლად.

განიხილეს რა სასაზღვრო ვითარების მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობა და მიღწეული შედეგები, თანამოსაუბრეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მიზანშეწონილია ამ მოლაპარაკებას მიაღწიონ დამატებითი იმპულსი, აამაღლონ მისი დონე.

ორივე მხარემ თქვა, რომ მიზანშეწონილია გაფართოვდეს თანამშრომლობა ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სასურველია იგი გადაიყვანონ გრძელვადიან საფუძველზე და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოიყენონ ახალი თანამედროვე ფორმები. პრიორიტეტულ დოკუმენტად დასახელეს მეტალურგია, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. საუბრის ამ ნაწილში წამოაყენეს ზოგიერთი კონკრეტული იდეა და წინადადება და მიაღწიეს მორიგებას დაამუშაონ ისინი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ეკონომიკური, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის ფარგლებში. ორივე მხარემ დათქვა, რომ ხელს შეუწყობენ სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანი ურთიერთობის განვითარებას, თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების დარგში, გაცვლებს კულტურის დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მ. ჩებრიკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი პოლიტიკის საკითხთა კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. ი. სუხარევისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ვ. ბაკატინის ინფორმაციები დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. განიხილეს აგრეთვე სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა და სხვა იმ პირთა სამართლებრივი დაცულობის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც ახორციელებენ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას მართწესრიგის დაცვისათვის.

კომისიამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდის გამო. აზრთა გაზიარების დროს აღინიშნა, რომ ვერ მოხერხდა მართწესრიგის განმტკიცებასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში 1985-1986 წლებში დასახული ზოგიერთი დადებითი ტენდენციის განმტკიცება. სამართლებრივი წესრიგის მდგომარეობა ქვეყანაში უარესდება, იზრდება მძიმე დანაშაულობათა რიცხვი. საქმის არასასიკეთო მდგომარეობას მარტო სამართალდარღვევათა რაოდენობრივი ზრდა როდი მოწმობს. იცვლება დამნაშავეობის სტრუქტურა, იგი სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათსა და „პროფესიულ" მიმართულებას იძენს.

ამავე დროს მართწესრიგის დაცვის ორგანოები, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა და სამეფონო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთლიანად მზად ვერ აღმოჩნდნენ ეფექტიანად ებრძოლონ გაბნირებულ ნეგატიურ გამოვლინებებს, დაიცვან გარდაქმნა, ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტები. მხედველობიდან უშვებდნენ იმას, რომ საჭიროა ორგანულად შეუხამონ დემოკრატიის და საჭიროობის გაფართოება სამართალდარღვევებისადმი, ანარქიისა და განუკითხობისადმი მტკიცე წინააღმდეგობას. მრავალი საკითხი, რომლებზეც დამოკიდებულია დამნაშავეობასთან ბრძოლის შედეგიანობის ზრდა, ნელა წყდება.

ცენტრალური სამართალდაცვითი უწყებები სუსტად ანალიზებენ ვითარებას, საკმარისად არ ათანხმებენ თავიანთ მოქმედებას, არცთუ იშვიათად აგვიანებენ საჭირო გადაწყვეტილებების მიღებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სსრ კავშირის პროკურატურამ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის აპრილის პლენუმის მითითებებით და განაზორციელონ გადაუდებელი ღონისძიებები ქვეყანაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და მართწესრიგის განმტკიცებისათვის.

საჭიროდ ცნეს გაზარდონ მილიციის პასუხისმგებლობა ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში წესრიგის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე დანაშაულობების, განსაკუთრებით პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების ხელყოფასთან დაკავშირებული ძმიმე დანაშაულობების გახსნისათვის. მტკიცედ იბრძოლონ ბინის ქურდობის, სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ, რომლებიც ქონებრივ ზარალს აუენებენ მოქალაქეებს. ამასთან დაკავშირებით გამოთქვა რეკომენდაციები მილიციის მუშაკთა პროფესიული მომზადების, კონკრეტულ დანაშაულობათა გამოძიებაში მათი სპეციალიზაციის, საჭირო ტექნიკით მილიციის აღჭურვის ღონის ამაღლების პრაქტიკულ ღონისძიებათა თაობაზე.

მიზანშეწონილად ცნეს აგრეთვე დაიჩქარონ ენერგიული ღონისძიებათა, მათ შორის კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შეშუშავება, რომელთა მიზანია ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულობასთან, უზრუნველყონ ამ საქმეში საზღვარგარეთის გამოცდილების აქტიური შესწავლა და გამოყენება.

სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს სამართალდაცვითი ორგანოებში საკადრო მუშაობის, განსაკუთრებით მუშაკთა სწავლებისა და აღზრდის, მათი სამართლებრივი და სოციალური დაცულობის საკითხები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მართლწესრიგის დაცვის ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ზრდის გადამწყვეტი პირობაა მათს საქმიანობაში კანონიერების მკაცრი დაცვა, საზოგადოებრიობასთან, შრომითს კოლექტივებთან კავშირის განმტკიცება.

ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ საჭიროობა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობაში. დროული და მართალი ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებრიობას დამნაშავეობასთან ბრძოლაში საქმის მდგომარეობის შესახებ და ხელი შევუწყოთ გარდაქმნის ამოცანათა შესაბამისად სამეფოთა ადამიანების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებას.

კომისიის წევრებმა და სხდომაზე მოწვეულმა ცენტრალური უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დემოკრატიისა და საჭიროობის გაფართოების პროცესს, კანონმდებლობის მუშაობისას არ განმტკიცებენ პარტიული კომიტეტები და ადგილობრივი საბჭოები საჭირო ორგანიზაციულად და პოლიტიკური მუშაობით მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ეფექტრემისტულად განწყობილი ელემენტებისაგან დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვისათვის.

მკვეთრად დაქვეითდა საზოგადოებრიობის აქტიურობა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის ამოცანათა გადაწყვეტაში.

უურადღება მიაპყრეს იმას, რომ იურიდიულ მეცნიერებას საკმარისი წვლილი არ შეაქვს მართლწესრიგის უზრუნველყოფის, დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანათა გადაწყვეტაში. აკადემიის ინსტიტუტებმა, იურიდიული ფილის დარგობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და სახელმძღვანელებმა ღრმად უნდა გაანალიზონ დამნაშავეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების მიზეზები, შეიმუშაონ საფუძვლიანი გრძელვადიანი კრიმინოლოგიური პროგნოზები როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ცალკეულ რეგიონებშიც, უფრო მეტადრიდ დაუკავშირონ მეცნიერული კვლევა სამართალგამოყენებითი საქმიანობის ცოცხალ პრაქტიკას, გარდაქმნის მიზნებსა და ამოცანებს.

სხდომაზე მოიაყვანეს დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მართლწესრიგის განმტკიცებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აქტიური მონაწილეობის მაგალითები. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა გაზეთების — „პრავდა", „სოვეტსკაია როსია", „მოსკოვსკაია პრავდა", სატელევიზიო პროგრამის „სალამო მშვიდობისა, მოსკოვო!" — კარგი თანამოქმედება მოსკოვის საქალაქო სასამართლოს აღმასკომის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა თავიანთ პუბლიკაციებში უფრო ზუსტად უნდა გაატარონ კანონისა და იმათდამი პატივისცემის ჩანერგვის გეზი, ვინც თავგანწირვით იცავს მას; უფრო სანტერესოდ და უფრო მეტად გააშუქონ დამნაშავეობასთან ბრძოლის, მართლწესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფორმის მონაწილეობის მოწინავე გამოცდილება, სელი შეუწყონ არსებული სამართლებრივი ნიმილიზმის დაძლევას.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, უნდა უზრუნველყოფილ ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მტკიცე შემობრუნება დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების საქმისაკენ, განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა დახმარება გავუწიოთ შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში.

დადებითად შეფასდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა ჩაბმისათვის გორკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის გამოცდილება, კერძოდ, მილიციის ხელშემწყობი მუშაობა რაზმების შექმნის გამოცდილება.

მოიწონეს წინადადება დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთიანი საერთო-სახელმწიფო პროგრამის შემუშავების შესახებ.

კომისიამ განიხილა წინადადებანი, რომელთა მიზანია სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა და სხვა იმ პირთა სამართლებრივი დაცულობის გაძლიერება, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ან საზოგადოებრივ ვალს ეხდიან საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის. აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს გახშირდა თავდასხმები, ძალის გამოყენების, მუქარის და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევები მილიციის თანამშრომლების, პროკურორების, გამომძიებლების, მოსამართლეების, აგრეთვე სამართლიანობისა და საზოგადოებრივი აქტივის სხვა წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც მართწესრიგის დაცვაში მონაწილეობენ და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას ადგანან სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებთან ანგარიშის გაწევრების ცდები ხშირად ხდება აშკარად, დამნაშავე ელემენტების მიერ ძალის დემონსტრაციის მიზნით. მშრომელები თავიანთ წერილებში, პრესის პუბლიკაციებში სვამენ შესაბამისი საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღების საკითხს.

აღინიშნა, რომ მეცნიერთა მონაწილეობით ცენტრალური სამართალდაცვითი უწყებების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს მართწესრიგის გუნდათა სამართლებრივი დაცულობის გაძლიერებისათვის საუფლებად უძევს ფართოდ განხილული წინადადებანი სასამართლოს დამოუკიდებლობის, გამომძიებელთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, სახელოთა მილიციის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, ისინი ითვალისწინებს სხვა ქვეყნებში ამგვარი საკითხების საკანონმდებლო გადაჭრის პრაქტიკას. განხილვის გათვალისწინებით სამართალდაცვითს უწყებებს წინადადება მიეცით დადგენილი წესით შეიტანონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სხდომაზე გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე ა. ს. პავლოვი, მოთარეშოსკოვშენის კომბინატური ბრიგადის ბრიგადირი ვ. ა. ზატორინაცკი, სამეფოთა არბიტრაჟი და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. დ. ლუზინოვი, კუიბიშევის სადგურის შინაგან საქმეთა სამაზო განყოფილების სახელის სამართლის სამხედრო უფროსი ოქტრრწმუნებული, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ი. ვ. სოროკინი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე — მოსკოვის საქალაქო სამეფოს აღმასკომის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი პ. ს. ბოგდანოვი, ლენინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. — ბ. კ. ბრაზაუსკასი, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ო. ბობიკინი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. დ. ბობკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ა. ლოგუნოვი, ობნინსკის პროკურორის მოადგილე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ნ. ი. რეშეტოვი. (ᲢᲐᲡᲙᲘᲡ).

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲯᲐᲝ ᲫᲘᲐᲜᲗᲐᲜ

ᲒᲐᲣᲬᲘᲚᲔᲡ მ. ს. გორბაჩოვი საუბრა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ჯაო ძიანს.

მიეესმა რა საბჭოთა სტუმარს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ჯაო ძიანმა თქვა, რომ დღეიდან შეიძლება ნორმალიზებულად ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა. ჩვენი პარტიები მმართველი პარტიები არიან თავიანთ ქვეყნებში, და სავსებით გასაგებია, რომ მათს კონტაქტებს შეუძლიათ დიდი სასარგებლო როლი შეასრულონ საბჭოთა და ჩინელი ხალხების კეთილმეზობლობისა და მეგობრობის განმტკიცებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კომუნისტები მუდამ სოლიდარობდნენ ჩინელი ხალხის ბრძოლას ჩინეთის კომპარტიის მეთაურობით დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმის გზით განვითარებისათვის. ჩვენს პარტიაში ჩინელ კომუნისტებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია მოწონებასა და მხარდაჭერას იწვევს.

როცა განიხილეს საკითხი, თუ როგორ უნდა განვთავრდეს ორი პარტიის ურთიერთობა, თანამოსაუბრენი დაეთანხმნენ იმას, რომ ეს საფუძვლად უნდა ედოს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთტივისცემის, ერთმანეთის საქმეში ჩაერევლობის ჩაურევლობის ორინციპები. არავის არა აქვს უფლება იჩემებდეს ჭეშმარიტების მონოპოლურ ფლობას. სასარგებლო იქნება ურთიერთინფორმაცია, ერთმანეთის გამოცდილების შესწავლა, შეხედულებებისა და სოციალისტური მშენებლობის მარქსისტული თეორიისა და პრაქტიკის განვითარების აქტუალური პრობლემებისადმი მიდგომის შეჩრილისპირები.

აზრთა მეტად მრავალფეროვანი და შინაარსიანი გაზიარება გაიმართა სოციალისტური განვითარების ფორმებისა და მეთოდების საკითხებზე. გამოირკვა, რომ ორივე მხარე იჩენს დიდ ურთიერთინტერესს ახლა მიმდინარე საქმიანობის გაფართოებისა და რეფორმებისადმი, რომლებმაც სოციალიზმი უნდა აიყვანონ ახალ დონეზე, მიანიჭონ მას უფრო თანამედროვე და მაღალი ხარისხი.

თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ის, თუ როგორ აფასებენ გარდაქმნების შედეგებს ეკონომიკის, პოლიტიკური სისტემის დარგსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. ამავე დროს, გულახდილად ალაპარაკეს სიძნელეებზე, რომლებიც წარმოიქმნა ამ ქართველი კოლეგების მოწვევით ჩამოვიდნენ, რათა საფუძვლიანად გაეცნონ თბილისში 9 აპრილს მომხდარ მოვლენებსა და მათ შემდგომ განვითარებას.

შეხვედრაზე ილაპარაკეს, თავიანთი შეხედულებები და პოზიციები გამოთქვეს ქართველმა ხელოვანებმა, ტრაგედიის თვითმხილველებმა იჩემეს ჭეშმარიტების მონოპოლიურ ფლობას. სასარგებლო იქნება ურთიერთინფორმაცია, ერთმანეთის გამოცდილების შესწავლა, შეხედულებებისა და სოციალისტური მშენებლობის მარქსისტული თეორიისა და პრაქტიკის განვითარების აქტუალური პრობლემებისადმი მიდგომის შეჩრილისპირები.

ლი პენმა, თავის მხრივ, ილაპარაკა იმაზე, თუ ჩინეთი როგორ უყურებს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს. ჩვენ, თქვა მან, ქვეყნის შიგნით გვჭირდება სტაბილური პოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო ასპარეზზე კი მშვიდობიანი სიტუაცია. ეს საჭიროა ქვეყნის მოდერნიზაციის ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომელიც ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ჩვენში ყურადღება მიაპყრეს ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფციას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, მასში გამოყოფილია მთელი რიგი მომენტები, რომლებიც წარსულში საბჭოთა ხელმძღვანელობას არ გამოუთქვამს. რაც შეეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, აქ წამოყენებული იყო ახალი საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის იდეა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ხელმძღვანელობს თავის საერთაშორისო პოლიტიკაში.

მოლაპარაკების დროს დიდი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარების კონკრეტულმა საკითხებმა.

დაწვრილებით განიხილეს სამხედრო დაძაბულობის შენელების შემდგომი პერსპექტივები. ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არის შეამციროს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის რაიონებში განლაგებული ჯარები. დთქვეს შექმნან სამუშაო მოლაპარაკების მექანიზმი ორი ქვეყნის მთავრობებისათვის წინადადებების შესათავაზებლად.

განიხილეს რა სასაზღვრო ვითარების მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობა და მიღწეული შედეგები, თანამოსაუბრეებმა დასკვნა, რომ მიზანშეწონილია ამ მოლაპარაკებას მიაღწიონ დამატებითი იმპულსი, აამაღლონ მისი დონე.

ორივე მხარემ თქვა, რომ მიზანშეწონილია გაფართოვდეს თანამშრომლობა ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სასურველია იგი გადაიყვანონ გრძელვადიან საფუძველზე და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოიყენონ ახალი თანამედროვე ფორმები. პრიორიტეტულ დოკუმენტად დასახელეს მეტალურგია, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. საუბრის ამ ნაწილში წამოაყენეს ზოგიერთი კონკრეტული იდეა და წინადადება და მიაღწიეს მორიგებას დაამუშაონ ისინი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ეკონომიკური, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის ფარგლებში. ორივე მხარემ დათქვა, რომ ხელს შეუწყობენ სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანი ურთიერთობის განვითარებას, თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების დარგში, გაცვლებს კულტურის დარგში.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

17 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ჭითანავა შეხვდა ფრანგული ფირმის „მეიოტის" მფლობელსა და გენერალურ დირექტორს მამა-შვილს ანდრე და პატრიკ მაიოტებს.

სტუმრებმა აცნობეს, რომ ფირმამ შექმნა ქართული წიგნის გამომცემლობა. გამომცემლობის თავიერ რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. შ. ციცაშვილი. გამომცემლობის პირველი პროდუქცია იქნება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ექვსტომეული. ამ ამასთანავე წარმოდგენილ ამ გამოცემის მაკეტი.

გამოცემა იქნება უნიკალური— შევრის ყდა, ოქროვარაყიანი შემონაკერი, უმაღლესი ხარისხის ქაღალდი. სპეციალისტთა შეფასებით, იგი დაიკმაყოფილებს დაბეგვილ გემოვნებას. წელს დიდი კლასიკოსის თხზულებანი უკვე გამოვა გასაყიდად.

ფირმის პრეზიდენტმა და გენერალურმა დირექტორმა ამავე დროს გააცნეს გამომცემლობის გეგმები. კერძოდ, მალე დაიწყება ინტენსიური მუშაობა „ვეფხისტყაოსანზე", ეს გამოცემაც უმაღლესი მსოფლიო სტანდარტების დონეზე იქნება.

ახალი გამომცემლობის მომდევნო პროდუქცია იქნება აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა კრებულები, „ქართლის ცხოვრების" ქრონიკები, მატიანე „ბედი ქართლისა" და სხვ.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურისა და კულტურისათვის საერთოდ ამ გამომცემლობის შექმნას, რომელიც ორივე მხარისათვის სასარგებლო საფუძველზე იწყებს ჩვენი ლიტერატურა-ლი და ლი პენი მოიწვია სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად.

* * *

საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით მ. ს. გორბაჩოვმა ამხანაგები დენ სიაოპინი, ჯაო ძიანი და ლი პენი მოიწვია სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად.

შეხვედრები და მოლაპარაკება პეკინში მიმდინარეობდა გულთბილ, კეთილმოსურნე ატმოსფეროში. მათში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. იაკოვლევი, ი. დ. მასლიუკოვი, ე. ი. ჩაზოვი, გ. ხ. შახნაზაროვი, ო. ა. ტროიანოვსკი, ი. ა. როგაჩოვი; ჩინეთის მხრივ — ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ეი ანზორ მეესხიშვილი კრეჭეტარული დაგვხვდა: იღუპება მოსავალიო, გულისტკივილით გვითხრა. 5 ათასი ჰექტარი ნაშუმდგომო მარცვლეულის ნათესები ისეთ მდგომარეობაშია, თუ ასე გაგრძელდა, სათესლესაც ვერ მივიღებთ, იმ 5 ათასიდან ორი ათას ჰექტარ გამოშრალ მიწაში თესლი არც გადვივდა და ხელახლა გადასათესია, მაგრამ როგორ გადავთესოთ, როცა მიწა ისეა მშრალი, აზრი არ აქვს ყოველივეს. განსაკუთრებით უჭირთ ციცეფაროს, კოდის, ვაშლოვანის საბჭოთა მეურნეობებს. აქ იმის გამო, რომ ვერ რწყავენ ნიადაგს, დაიღუპა ბოსტნეულის ჩითილები, შავი დღე აქვს საადრეო კარტოფილის ნათესებს, ჭიანურდება საგაზაფხულო თესვა, თუმცა რაც დაითესა, ისიც არ ამოდის.

ვუსმენ გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეს და გაკვირვებას ვერ ვმალავ. ეს მეურნეობები ხომ სარწყავ ზონაშია! როგორ უხაროდათ აქაურ მშრომელებს, როცა რამდენიმე წლის წინათ

მრთიანი ძალისხმევით

სოფლის ყრილობა ახალსოფელში

ალბათ მართალი სიტყვის და ერთად ყოფნის წყურვილი ჰქვია იმას, რაც გასულ კვირა დღეს მთავარ ნიშნად გამყვა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მოსახლეობის ყრილობას. ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა იგი გაზაფხულის მზის ქვეშ. მაგრამ მაშინაც, როდესაც ყრილობა დახურულად გამოცხადდა, ხალხი არ ჩქარობდა კლუბის ეზოს დატოვებას. ოცზე მეტი ორატორი გამოვიდა, მაგრამ ორი იმდენიც რომ გამოსულიყო, ალბათ, სალაპარაკო და სათათბირო მაინც არ გამოელეოდათ. ათიული წლების მანძილზე გამეფებულმა დუმილმა, მხოლოდ ტუუილნარევი სიმართლის თქმის შესაძლებლობამ, გააღრმავა და გაართულა მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელთა მოგვარება დღეს პრობლემებთან არის დაკავშირებული.

მაინც, რა აწუხებთ ამჟამად ახალსოფლელებს?

სოფელში, რომელიც გამოირჩევა საუკეთესო ბუნებრივი პირობებით, ფლობს 900 ჰექტარ ვენახს და ვრცელ სახნავ-სათესს, სადღეისოდ მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა გადასაჭრელი. ახალსოფლელებს არ ჰყოფნით სასმელი წყალი, მოსაწყობია სასოფლო გზები, თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს კლუბი, ფერხდება სატელეფონო კავშირი და სხვა. იმის გამო, რომ ადგილობრივი სანერგე საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სულ ახლახანს, ახალსოფლის ღვინის ქარხნის შემოერთების შემდეგ, აგროკომბინატად გადაკეთდა, მძიმე ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია, მცირეა მუშის შრომის ანაზღაურება. ამიტომ ბევრი ახალსოფელი გარეთ ეძებს სამუშაოს და ხშირად სხვაგან ცხოვრებასაც ამჯობინებს. თუმცა ამის მიზეზი სხვაც არის. ბოლო წლებში, სოფელში გართულდა სამოსახლო ნაკვეთების გაცემა, უფრო სწორედ, ეს პროცესი თითქმის შეჩერებულია. არადა, 250 ოჯახი ითხოვს გაფართოებას. ამის გამოც ფერხდება მოსახლეობის გამრავლება. არადა, რაიონში, ისევე, როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, მეტად არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობაა.

არც ის არის დასამალი, რომ ახალსოფლის სიახლოვეს განლაგებული ლეკერ სოფლებში ამ თვალსაზრისით სრულიად საწინააღმდეგო სურათია. მათთვის სამოსახლოებად გამოიყოფა და შობადობაც მეტად დიდი. კერძოდ, ოცდაათი წლის მანძილზე ლეკმა მოსახლეობამ რამდენჯერმე იმატა. წლების მანძილზე რესპუბლიკის თუ რაიონის ხელმძღვანელობის დამთმობი პოლიტიკის გამო მკვიდრი, ქართული მოსახლეობა შეიწეროებული აღმოჩნდა.

სწორედ ამ საკითხებზე გაიმართა პირუთვნელი საუბარი ყრილობაზე.

ყრილობის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

ბუნებრივია, ყრილობაზე იყო განხილვაებული აზრები, ზოგჯერ მეტად რადიკალური და მაქსიმალისტური, მაგრამ მის ღირსებად სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ საბოლოოდ ყველას მიეცა საკუთარი საფიქრალის გამოთქმის საშუალება, რამაც გარკვეულწილად დააახლოვა კიდეც ყრილობის მონაწილეთა თვალსაზრისი.

როგორც ყრილობაზე ითქვა, საჭიროა შეიქმნას იმის პირობები, რომ მომავალში გამოირიცხოს თუნდაც ერთი გოჯი მიწის განიავების შესაძლებლობა. საჭიროა გამოვლინდეს ყველა კონკრეტული დამნაშავე, ვინც ნებისით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო მიწების უკანონო გაცემას. ზოგის უნაათობამ და წინდაუხედაობამ, ზოგჯერ ანგარებამაც, შექმნა დღევანდელი ვითარება, რომლიდანაც თავის დაღწევა არცთუ იოლია. არადა, როგორც ყრილობაზე ითქვა, რაიონის ადრინდელ ხელმძღვანელობას და სოფლის თავკაცებს სათანადო პრინციპულობა რომ გამოეჩინათ, შესაძლებელი იყო ამ მეტად საჩოთირო მდგომარეობის თავიდან აცილება.

სოფლის მეურნეობის ვეტერანმა მუშამ გოგი ფეხმაშვილმა, რომელიც ორმოცდაათთან წლებში გავაზის კოლმეურნეობას თავკაცობდა, თავის გამოსვლაში თქვა: როდესაც რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის ყვარელში ჩამოსვლის მიზეზი გავიგეთ, შევკრებეთ სოფლის აქტივი და მოთხოვნაზე — გამოგვეყო სამოსახლო ჩამოსულთათვის — უარი განვაცხადეთ. იგივე განმეორდა ბოკაანში. ახალსოფელში კი სულ სხვა ამბები დატრიალდა, რომელთა საგალალო შედეგს დღევანდელი თაობა იმკის.

ალბათ, უპრიანი იქნებოდა, აქ, ახალსოფლის მაშინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოგვეხსენებინა, მაგრამ ვერც თვით გოგი ფეხმაშვილმა, გამომსვლელთა შორის ყველაზე ხანდაზმულმა, ვერც სხვებმა ვერ მოიგონეს მისი გვარი. რა თქმა უნდა, გვარის დაუსტებაც მოხერხდება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ, რაც ჩვენს თავს არის, ისევ ცოხის შიგნიდან გაეხვევის შედეგია.

ამჟამად, როდესაც სამართლებრივ სახელმწიფოს შექმნაზეა ლაპარაკი, საჭიროა ყველა კანონიერი გზისა და საშუალების გამოყენება მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ მხრივ ყვარლის რაიონის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციული ორგანოები გარკვეულ პრინციპულობას იჩენენ — სოფელ თავში დაინგრა უკანონოდ აშენებული რვა სახლი, ჩამოერთვათ მიტაცებული მიწის ნაკვეთები. კანონი ერთი უნდა იყოს სტუმრებისთვისაც და მასპინძლებისთვისაც.

დღეს, როდესაც ხმამაღლა ვამბობთ ჩვენს გასაჭირს, საჭიროა ბევრი რამის გათვალისწინება ქართული სოფლისთვის. არც ის უნდა განსახილველისათვის. არც ის უნდა გამოვაკრიტ მხედველობიდან, რომ ახალსოფელში ჩამოსახლებულნი ჩვენი მეზობლები არიან, ისინი, ვისთანაც მომავალშიც მოგვიწევს ურთიერთობა. ეს იც რომ არ იყოს, საჭიროა ყველა მტკივნეული ეროვნული საკითხის დიდი ტაქტით და მოთმინებით შოგვარება, რათა სხვისი ამვოყვარეობა არ შევლახოთ. ლუკა მოსახლეობის 150 ოჯახმა ჯერ კიდევ შარშან გამოთქვა საშშობლოში დაბრუნების სურვილი. საჭიროა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სათანადო შუამდგომლობა აღძრას დაღესტნის ხელმძღვანელობასთან, რომ მან სამოსახლო მიწები გამოუყოს შინ დაბრუნებულებს. ამაზე იყო ლაპარაკი, სოფელ თავის რუსულ საშუალო სკოლის დირექტორის ზაგირ მამედოვის გამოსვლაშიც.

ყრილობაზე ბევრი რამ ითქვა იმ პრობლემებზეც, რომელთა გადაჭრას თვით სოფელი მოაბამს თავს, თუ აზრის და მოქმედების ერთიანობა იქნება. მაგრამ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრისას არ ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს. ახე მოხდა, მაგალითად, სასოფლო საბჭოს აღმასკომის ახალი შენობის მშენებლობის დაპროექტებისას. თუმცა სოფლის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი ძველი ბაღის გაჩეხვის წინააღმდეგი იყო, მათი თხოვნა მაინც უურად არ იღეს. ამ და სხვა დარღვევებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ეკაძმა იოსებ თავბერიძემ. გამომსვლელებმა ყურადღება შეიჩერეს ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების დიდ მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ საბჭოში უნდა აირჩიონ პატიოსანი და სოფლისათვის თავდადებული ხალხი.

ყრილობაზე ადგილობრივი საბჭოს აღმასკომისა და მისი თავმჯდომარის თენგიზ წმინდაშვილის მიმართ მრავალი საყვედური გამოითქვა. მაგალითად, სოფელში ბევრი ისტორიული ძეგლია, რომელთა უმეტესობა მოუვლელია. მაგრამ მთავარი ბრალდება თავმჯდომარეს კვლავ მიწათსარგებლობაში არსებული დარღვევების გამო წაუყენეს. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ყრილობის დღის წესრიგში დადგა თენგიზ წმინდაშვილის გადარჩენის საკითხი. ახალსოფელელებმა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ნოდარ ბერიკაშვილი აირჩიეს.

ყრილობამ მოითხოვა იმ ოჯახების დაკმაყოფილება, რომლებსაც სამოსახლო ნაკვეთები ხშირდებათ, აგრეთვე წყლით მომარაგების და სხვა სოციალური საკითხების მოგვარება.

ყრილობაზე გამოვიდნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი: ლევან სანიკიძე, ია ორკონიკიძე, გურამ ფანჯიკიძე, ლევან ღვინჭილია, რეზო ესაძე, ილო ბეროშვილი, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი თემურ ოსეფაშვილი, სახალხო დეპუტატთა რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ანგი გავაშელიშვილი და სხვები.

ზურაბ არსენიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მთავარია ხარისხი

ახალი დევიზით შეუდგნენ ჩაის ალოობას 1989 წელს სენაკის რაიონის ახალი სენაკის კეთილშობილი დაფნის ხაბეოთა მეურნეობის მშრომელები. ამ მეურნეობაში ჩაიც ხარობს, მას აქ ას ჰექტარზე მეტი უკავია. მეჩაიეები კარგად მოემზადნენ სეზონისათვის. პლანტაციები გალმოდგენილ დაამუშავეს, ზუსტად აგრონომთა რეკომენდაციების მიხედვით შეიტანეს ფოსფორიხა და კალიუმის სასუქები.

მომდინარე სეზონში ახალი სენაკის მეჩაიეები პრობას სდებენ, გადასამუშავებლად გაგზავნონ სულ ცოტა შვიდასი ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

სურათებზე: მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორი ედიშერ სვანიძე; ხაბეოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი შალვა ხარბედია მეჩაიეებთან ერთად.

საქინფორმის ფოტო.

აჭარა: იმედის ნათელი

ეხმარება მთელი ქვეყანა

ბათუმი, 16 მაისი (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს მოსკოვიდან მოვიდა პირველი მანქანა ტვირთით, რომელიც განკუთვნილია მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დასახმარებლად. ტვირთი გამოგზავნა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა.

— ჩვენ მივიღეთ 15 ათადგილიანი კარავი, 150 კომპლექტი თეთრეული, ექვსი ათასი ერთჯერადი პრიალი და ტანსაცმელი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ გულიკო კარაბაძემ. — გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების დახმარებაში მონაწილეობენ რესპუბლიკური და საოლქო კომიტეტებიც. აჭარის ბინოსოცბანკში გახსნილ ანგარიშზე მათ უკვე 50 ათასი მანეთი გადმორიცხეს.

ჩვენმა კომიტეტმა დაზარალებულთა ოჯახებს 5 ათას 500 მანეთი გამოუყო. გუშინ რსფსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისაგან მივიღეთ დეპეშა: „გულწრფელად თანაგიგრძნობთ რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს. თქვენს ანგარიშზე გადმოვრიცხეთ 30 ათასი მანეთი“.

ჩვენ მოგვმართავენ კოლექტივები, ცალკეული მოქალაქეები, ისინი თავიანთ დახმარებას გვთავაზობენ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ 12 ტონა დიზელის სათბობი გამოპყო. ხოლო „2655“ ავტოკოლონამ უფასოდ გადაზიდა საწვავი. ბევრს თავისი პირადი დანაზოგი შემოაქვს.

აჭარის მთებში დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველა შეაძრწუნა. აჭარის მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარება. „დაზარალებულთა დასახმარებლად სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 500 ათასი მანეთის გადმორიცხვა“, — ნათქვამია დეპეშაში, რომელსაც საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილე გერასიმენკო აწერს ხელს. ხოლო სსრ კავშირის ნავთობქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ დაზარალებულთ მილიონი მანეთი გადმოურიცხა. ხუთი ათასი მანეთი გადმოურიცხა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის საქართველოს რესპუბლიკურმა განყოფილებამ.

სადღეისოდ აჭარის ბინოსოცბანკის № 270057 ანგარიშზე 3 მილიონ 455 ათას 246 მანეთია.

თანადგომა

ბინოსოცბანკის ქუთაისის საქალაქო განყოფილების ცნობით, ქუთაისის საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე ცალკეულმა პირებმა საბჭოთა აჭარაში სტიქიის გამო დაზარალებულთა დახმარების ფონდში 315 ათას მანეთზე მეტი შეიტანეს.

საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ მშრომელებმა კი გადაწყვიტეს 20 მაისს მოაწყონ შაბათობა და გამომუშავებული თანხები მთლიანად გადარიცხონ სტიქიისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

მათ მაგალითს ბაძავენ ქალაქის სხვა წარმოება-დაწესებულებათა მშრომელებიც.

მიტოვებული სხვარა-ძროხა, მიტოვებული ბაქმე...

„კომუნისტი“, 1989 წლის 27 იანვარი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის სოღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ი. ძვინიაშვილი:

წერილში მოყვანილი ფაქტები სამეცხოველოს მეცხოველეობის სფეროში რაიონის მკვიდრთა, კერძოდ ახალგაზრდების დასაქმება მტკივნეული საკითხია. საქმე ისაა, რომ ჩვენს მიერ გაწეული მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშაკთა მოთხოვნილებებს, არ წარმოიებს კომკავშირული სავზურით ახალგაზრდების მეცხოველეობის ფერმებში გაგზავნა, მოისუსტებს ახალგაზრდობის დამრიგებლობა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფორიენტაციული მუშაობა. სწორედ ამიტომაა, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობა თავს არიდებს მეცხოველეობის ფერმაში მუშაობას.

არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების ერთადერთი გზაა შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების, საიჯარო მუშაობის დანერგვა. ამ მიზნით 1988 წლის 1 ივლისიდან მეცხოველეობის ყველა ფერმა სანარდო წესით მუშაობს, რამაც ერთგვარად გააუმჯობესა მდგომარეობა. ზოგიერთ ფერმაში მუშაკის შემოსავალმა თვიურად 250-300 მანეთს მიაღწია. ამან მიიზიდა სამუშაოდ ადგილობრივი მშრომელები, კომკავშირელი ახალგაზრდობა.

გაზეთ „კომუნისტში“ გამქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ მიმდინარე წლის 13 თებერვალს იმსჯელა პარტიის სიღნაღის რაიკომის, ხოლო 17 თებერვალს კომკავშირის რაიკომის ბიუროომ. პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ უმოკლეს ვადაში განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მეცხოველეობის ფერმებში ახალგაზრდობის გასაგზავნად, იზრუნონ მათი დამაგრების, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, დაისახა სხვა კონკრეტული ღონისძიებები.

კონფერენციის შემდეგ

„კომუნისტი“, 1989 წლის 11 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ხოსაშვილი:

დაბა ლენინგორში გამწმენდი ნაგებობებისა და კანალიზაციის მშენებლობის, აგრეთვე მდინარე ქსანზე ნაპირსამაგრი კედლის აგების საკითხის შესახებ რაიონული პარტიული ორგანიზაციის XXIX კონფერენციის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა როგორც ისეთ პრობლემებზე, რომელთა პრაქტიკული გადაჭრა რაიონის შესაძლებლობებს აღემატება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის ივნისის დადგენილებით, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, დაბა ლენინგორში გამწმენდი ნაგებობებისა და კანალიზაციის მშენებლობა გათვალისწინებულია 1991-1992 წლებში. რაიონის ძალებით სამი წლით ადრე შედგენილი იქნა მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულებამ 3.144 ათასი მანეთი შეადგინა.

ახლა ყველაფერი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქაგრომშენზეა“ დამოკიდებული. რაც შეეხება მდინარე ქსანზე ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობას, იგი დაწყებულია 1982 წელს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების თაოსნობით. მისი მოლიანი ღირებულება შეადგენს 2370 ათას მანეთს, საიდანაც დღეისათვის ათვისებულია 1170 ათასი მანეთი. მშენებლობას აწარმოებს ტრესტი „მტკვარწყალმშენი“. 1988 წლის გეგმით გათვალისწინებული 112 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულდა 312 ათასი მანეთის სამუშაოები. გეგმის ასეთი გადაჭარბებით შესრულება გაანაირობა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1988 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს დამატებით 200 ათასი მანეთის გამოყოფამ.

მიმდინარე წელს ზემდგომ ორგანოებს გათვალისწინებული ჰქონდათ მდინარე ქსანის ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის დაკონსერვება, მაგრამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მშენებლობის გასაგრძელებლად გამოყვეს 150 ათასი მანეთი, რაც საკმარისი არაა მშენებლობის დასამთავრებლად. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით სამხრეთ ოსეთისათვის 1989 წელს საჭირო თანხის გამოყოფის შემთხვევაში მდინარე ქსანის ნაპირსამაგრი კედლისათვის დამატებით გათვალისწინებულია კიდევ 350 ათასი მანეთით დაფინანსება.

ტრაქტორი... ყავარჯნებზე?!

„კომუნისტი“, 1989 წლის 10 მარტი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ: საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. შინჯიკაშვილი:

კასპის რაიონში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტექნიკის მზადყოფნის თაობაზე სტატიაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სწორია.

რესპუბლიკაში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადყოფნის თაობაზე კომიტეტის ხელმძღვანელობის ანგარიში მოოსმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ, სადაც დაისახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი. კერძოდ, აგროსამრეწველო კომიტეტი დაეხმარა რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში და აგრობანკს გააკეთინა კრედიტები. „საქსოფლომშენარგების“ ბაზებიდან მათ გაეგზავნათ აუცილებელი სარემონტო მასალები და სათადარიგო ნაწილები, რის შედეგადაც მდგომარეობა გარკვეულად გამოსწორდა და შეიქმნა იმის პირობა, რომ რაიონში საგაზაფხულო სამუშაოები აგროტექნიკური ვადებში ჩატარდეს.

კასპის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ტ. ხუციშვილი:

სტატიაში გამოთქმული მართებული კრიტიკული შენიშვნები განიხილა აგროსამრეწველო გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის სხდომამ. გამოირკვა, რომ ოკმისა და ქსნის საბჭოთა მეურნეობებმა და ნოსტის კოლმეურნეობის გარდა საგაზაფხულოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მზადყოფნისათვის ცუდად ზრუნავდნენ კავთისხევის და დოესის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებიც, რის გამოც ტექნიკა სათანადოდ არ იყო მომზადებული და ცუდად ინახებოდა.

ოკმისა და კავთისხევის საბჭოთა მეურნეობების მთავარი ინჟინერების თ. ჯაფარიძისა და გ. ჭაობაშვილის სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი განსახილველად გადაეცა შრომითი კოლექტივების საბჭოებს.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ნოსტის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ბიჭიკაშვილი ახალარჩეულია ამ თანამდებობაზე, ხოლო ტექნიკის განკომპლექტებისათვის ყოფილი ინჟინერის მ. ელისაბედაშვილის საკითხი განსახილველად გადაეცა რაიონის პროკურატურას, მ. ელისაბედაშვილს დაეკისრა მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ამასთანავე დაისახა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვისა და მზადყოფნის საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

ვეძებთ მიწის პატრონს

„კომუნისტი“, 1989 წლის 16 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის მთავარი სამმართველოს უფროსი შ. კიკალეიშვილი:

სტატიაში აღძრული საკითხები განიხილა ქარელის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ. მისმა საბჭომ მკაცრად იმსჯელა იმ მეურნეობათა ხელმძღვანელების შესახებ, რომელთა უგერგილო მუშაობის შედეგად ვერ შესრულდა პროდუქციის წარმოების გეგმები, გაძვირდა თვითღირებულება, ვერ აამაღლეს ხარჯსაწინააღმდეგო მექანიზმი, საგრძნობლად იზარალა სახელმწიფომ. ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი შეტანილ იქნა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის ბიუროზე განსახილველად.

რაიკომის ბიურომ განიხილა კეხიჯვრისა და ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის უკანასკნელი 3 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საკითხი და მეურნეობათა დირექტორები რ. ლომიტაშვილი და დ. გაგლოშვილი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, დასახა ქმედითი ღონისძიებები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამჟამად, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, თანდათანობით უმჯობესდება მდგომარეობა ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსში. პირველ კვარტალში აქ, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოებულია 54 ტონით მეტი რძე. არის საშოლება ვთქვათ, რომ კომპლექსი გადაჭარბებით შეასრულებს რძისა და ხორცის წარმოების წლევანდელ გეგმებს და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებასაც საგრძნობლად გააიაფებს.

რაიონს აგროსამრეწველო გაერთიანება პერიოდულად განიხილავს სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს და სახავს გარკვეულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ამასთანავე რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების, მისი დაქვემდებარების სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი დარღვევა-ნაკლოვანებაა, რომელთა გამოსასწორებლად მუშაობა მიმდინარეობს.

თემქაში, ხევძმარაზე...

ვინ მიჯარა-მოჯარა...

ხევძმარის ხევი, თითქოს განგებას დედამიწისთვის ხანჯალი ჩაუცია, შუაზე ჰყოფს თემქას. პირიქით და პირაქეთ, ზედმის გაყოლებაზე მრავალსართულიანი კორპუსები თეთრი დევებივით გადმოყურებენ ხეობას. ვინ იცის, რა საამო იქნებოდა მათი ფანჯრებიდან ცქერა, ერთი გარემოცვა რომ არ ეჩოთირებოდეს თვალს: აურაცხელი ნაგავი „ამკობს“ ხევის ორთავე ნაპირს; ზოგან თუ თავმოყრილია და მთასავით ამოზიდული, სხვაგან, უარესი, გაფანტულია, უფრო საზარელი შესახედი გამხდარა.

XI მიკრორაიონის უკან, ამ ენითაუწერელ სანახაობას, ერთი პირფერათო, ძვალმსხვილი და თავმომწონე მილიც ემატება, რომელიდანაც უზვად მორკალავენ წყალი. ალბათ ეს ჭრნდათ მხედველობაში წერილის ავტორებს, როცა ამბობდნენ: „აქ ჩამდინარე ფეკალური წყლები ანტისანიტარიას ქმნისო“. თუმცა ყველაფრის მხოლოდ იმ მილისთვის გადაბრალება მართებული არ იქნებოდა, რადგან ამგვარი „სამკაულები“ უხვად „ასხია“ ხევძმარის მთელს ხევს.

ხევიც ხომ ბუნების შვილია, მისი სისხლი და ხორცი. მასაც ხომ წყაროსავით, ყვავილივით, ხესავით მოგლა-პატრონობა და მოფერება სჭირდება. აბა, რა უნდა მოვთხოვოთ, რა ბუნებასთან მეგობრობისა და ეკოლოგიაზე უნდა ვესაუბროთ ავტოფარეხებისაგან გულგამთხრილსა და პირმოქცეულ, ნაგვით და ბინაური წყლით გაჟეიებულ ხევძმარას?!

იმასაც ნურავინ იტყვის, იმ ნაგავს უცხო კაცი ჰყრის და თემქელთა ხელი არ ურევიაო. კორპუსების წინ, ხეკის პირად გამოფენილ ამ „სავიზიტო ბარათებს“ „ავტორებიც“ ახლო-მახლო ეგულებათ, მაგრამ მათ პირში წყალი ჩაუგუბებიათ — ჩვენ დაეყრით, სხვამ კი, ვინც ამის მოგალეა, აკრიფოს და მოწშინდოსო.

აი, რას ამბობს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის ბიუროფილების გამგე თამაზ ჭელიძე:

— თვე არ გავა, შაბათობა არ მოვაწყოთ. სკოლებიდან, ტექნიკუმებიდან, დაწესებულებებიდან ვიშველიებთ ხოლმე ხალხს და ვწმენდთ ხევძმარას ხევს, მაგრამ... დღეს თუ სუფთაა, ხვალ ისევ წამოიმართება ნაგვის გროვა. რაც შეეხება მილებსა და ფეკალურ სითხეს, აქაც ვაწყდებით ხიძნელეს. ხევთან ახლოს მცხოვრებ მობინადრეებს იქ პატარ-პატარა ბაღ-ბოსტნები აქვთ გაშენებული. ბოდა, მორწყვის მიზნით მთავარი არხიდან თვითნებურად გაბაყავთ სადინარები. არადა, ამ არხში კანალიზაციის წყალი გაედინება. თავსაც აწამლავენ და საერთოდ ხალმეზეაც ზიანს აყენებენ. ბევრჯერ დავუშალეთ, ბევრჯერ გავასწორეთ კიდეც, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

თამაზ ჭელიძისგან ისიც შევიტყვეთ, რომ აღმასკომში უკვე შემუშავებულია ხევძმარის ხევის გენერალური განაშენიანების გეგმა, რომელიც აქ სავაჭრო ცენტრების, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სპორტული ობიექტების მთელ კომპლექსს ითვალისწინებს. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის ცალკეულ დეტალთა დაზუსტება.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, ვიდრე ეს აღშენებლობა დაიწყებოდეს, ხევი ხომ უნდა გაიწმინდოს, ხომ უნდა დაუბრუნდეს მას თავისი იერი, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაზდეს ხევი ეკოლოგიურად სუფთა, სანიტარიულად უსაფრთხო, სანახავად საამო?!

ფიცი გვწამს, ბოლო

გვაკვირვებს

ეოსტრეული ანეგდოტისაგან ჩაბეჭირებულებს, ხშირად გვეკითხავს: ვინ თხზავს, ვინ იგონებს მათ? ხალხო — გვიპასუხებენ და მასში მართლაცაა ჭეშმარიტების მარცვალი. აი, მაგალითად:

ერთ-ერთ ეზოში, ხუთსართიანიანი სახლის წინ, მამაკაცებს მოუყრიათ თავი და ბაასობენ. „სპორტული მოედანი თუ გაქვთ“, — ეკითხეთ და ძალზე გაიკვირვეს, „სად, რომელ ქვეყანაში ბინახავთ შუა ქუჩაში მოედანი წამოეკიმოთო?“ თურმე, ეზო რომ გვეგონა, ქუჩა ყოფილა, თანაც „წალკოტი“ რქმევია სახელად.

დაცინვაც ამას ჰქვია!

ქუჩას ხომ არ ჰგავს და არა, ედემისა და წალკოტის კი საერთოდ არა სცხია რა: მტვრიანი, გზადახეთქილი, უწორწერო, უტროტუარო. თანაც, სწორედ ამ ქუჩაზეა ჩვენი სახელგანთქმული გაგარინის სახელობის სკოლა, რომლის ერთ მხარეს გზა ჩაწვა და „წალკოტის“ ქუჩელები მთლიანად მოსწყვიტა III მიკრორაიონს.

მართლაც, რა უნდა ქნას ახლახან დანიშნულმა აღმასკომის კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ, როდესაც მცდარი პროექტი ორი ათეული წლის წინათ შედგა და მის საფუძველზე აშენდა თემქა, მაგრამ ხალხმა რაღა ქნას. მათთვის „ეაპიკის ფასი აქვს ამგვარ განცხადებას, ისინი ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს მოითხოვენ და ცოდნე მართალნი არიან. ამიტომაც უკვირთ, როცა ეფიციტბიან. ამდენი და ამდენი სპორტსკოლა და მოედანი გვაქვსო.

სად ვიყიდოთ წინდა?..

ს ოფრიდ ამ შეკითხვით მოგვმართეს ლეკემშვილის ქუჩაზე მდებარე № 54 პურის მაღაზიაში შემოსულმა ქალბატონებმა.

დიახ, თემქის დასახლებაში არ არის მზა ტანსაცმლის მაღაზია. უბრალო, წვრილმანი საგნისთვისაც კი „სავაჭრო ცენტრს“ უნდა მიაკითხონ, რომელიც თემქის ბინადართა უმრავლესობისათვის საკმაოდ შორსაა. დასახლისისთვის კი, მოგეხსენებათ, მაღაზიას გადამწყვეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

— მე დიამეტითა ვარ დაავადებული, — გვითხრა მიხეილ ბოლელიშვილმა, — სამსახურიდან მოვდივარ. ეს ეკითხვით მოგვმართეს ლეკემშვილის ქუჩაზე მდებარე № 54 პურის მაღაზიაში შემოსულმა ქალბატონებმა.

ეს ეკითხვით მოგვმართეს ლეკემშვილის ქუჩაზე მდებარე № 54 პურის მაღაზიაში შემოსულმა ქალბატონებმა.

პური, ისევე როგორც სხვა რაიონებში, ჩვენთანაც იმავე რაოდენობით, იმავე ხარისხისა და დასახელებისა შემოდის. კერძოდ, თემქის დასახლების პურის მაღაზიები 3-4 ასორტიმენტის ნაწარმით მარაგდება, რაც არ ჩამოუვარდება, მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონსს. მხოლოდ ეგაა, იქ თუ „ქუთაისური“ პური იყიდება და მოწონებით ხარგებლობს, აქ ივიდე პური დასლუნევი ცივდება...

თუ ასეა, ეიღეთ და შეცვალეთ ასორტიმენტი!..

რაც შეეხება სავაჭრო ობიექტების ნაკლებობას, ამის თა

პოზიციები ზუსტდება

სახელმწიფო კომისია მუშაობს

გუშინ, 17 მაისს, გაიმართა 9 აპრილს მომხდარ გარემოებათა გამომკვლევი კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნუგზარ ფოფხაძის ინფორმაცია, აგრეთვე პასუხები შეკითხვებზე და სხდომის მონაწილეთა განცხადებანი. სხდომის ანგარიშს გაეცნობით ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

ამასთან მკითხველს ვაცნობებთ, რომ გაზეთში წინა სხდომის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციას მომართეს ამხანაგებმა ჯუმბერ პატიაშვილმა, ზურაბ ჩხეიძემ და გურამ მეტონინაძემ, რათა დაზუსტდეს „კომუნისტის“ 18 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში „გამოიკვეთა წინააღმდეგობანი“ მოყვანილი ფაქტები.

ჯ. პატიაშვილი ჯზუსტებს ამ განცხადებას, რომ „7 აპრილს ბიუროს სხდომის დაწყების წინ მასთან მოვიდნენ კოჩიტოვი და როდიონოვი. როდიონოვმა აცნობა, რომ მას დავალებული ჰქონდა ყველა ჯარის ხელმძღვანელობა“. ჯ. პატიაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ როდიონოვმა მხოლოდ მეორე დღეს, 8 აპრილს აცნობა, რომ დავალებული ჰქონდა ყველა ჯარის ხელმძღვანელობა.

რაც შეეხება ო. ჩერქეზიას და ზ. ჩხეიძის პოზიციას იმის თაობაზე, რომ თითქოს ისინი ხალხის გაფრთხილების წინააღმდეგნი იყვნენ, ამბ. ჯ. პატიაშვილი აკონკრეტებს, რომ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ პირველი მდივნის გამოსვლისა მომიტინგეთა წინაშე.

* * *

ზ. ჩხეიძის წერილში, რომელიც მან 17 მაისს განცხადების სახით წაუკითხა კომისიას, ხოლო შემდეგ კი რედაქციას გადმოგზავნა, ნათქვამია:

„15 მაისს კომისიის სხდომაზე ჩემს მიერ გაკეთებული ინფორმაციის გარშემო წერილობით მოგახსენებთ შემდეგს:

1989 წლის 7 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები შეხვდნენ ქალაქ თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლებს და განიხილეს ქალაქში აპრილის დამდეგს შექმნილი მდგომარეობის საკითხი.

იმავე დღის მეორე ნახევარში ეს საკითხი განიხილა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. სხდომაზე გამოითქვა საერთო აზრი, რომ აუცილებელია მთავრობის სახლის წინ მოედნის განთავისუფლება უსანქციო მიტინგის მონაწილეებისაგან. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შემოეღოთ საგანგებო წესები.

8 აპრილს დილით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ისევ გამოითქვა აზრი მთავრობის სახლის წინ მოედნის განთავისუფლებაზე. მივიღეთ მიმართვა კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი და რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი. მიმართვისთან ერთად 7 აპრილის ბიუროს გადაწყვეტილებაც გაეცნო ქალაქ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივს, რომელიც იმავე დღის პირველ ნახევარში კაიმართა.

აქტივმა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება მოიწონა. პარტიულ-სამეურნეო აქტივის დამთავრებისთანავე მიწვეული ვიყავი თავდაცვის საბჭოს სხდომაზე.

სხდომაზე კვლავ იყო მსჯელობა მთავრობის სახლის წინ მოედნის უსანქციო მიტინგის მონაწილეებისაგან განთავისუფლების აუცილებლობაზე და ამ მიზნით მოქმედების გეგმის შედგენა დაევალათ ამხანაგებს ი. როდიონოვს და შ. გორგოძეს.

ამ გეგმის შედგენასა და განხილვაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, ვინაიდან არა ვარ აღნიშნული საბჭოს წევრი. როგორც ჩანს, ამავე მიზეზით შემდგომშიც არ ვიყავი ინფორმირებული ზემოთ აღნიშნული გეგმით დასახული ღონისძიებებისა და მათი განხორციელების ვადების შესახებ.

თავდაცვის საბჭოს სხდომის შემდეგ, იმავე დღეს საღამოს კვლავ გაიმართა ბიუროს სხდომა. აღინიშნა, რომ სიტუაცია მწვანდება, მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც დაევალა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების და არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით გაეწთავისუფლებინა მთავრობის სახლის წინ მოედანი.

ბიუროს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ განუცხადა ყოფილ პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს, რომ მას ამ დავალების შესასრულებლად ესაჭიროება მინისტრთა საბჭოს გაწყარგულება. ბიუროს დადგენილებიდან ზამოდენარე, ყოფილი პირველი მდივნის შესაბამისი დავალების შედეგად 1989 წლის 8 აპრილს გამოიცა მინისტრთა საბჭოს განკარგულება, რომელის პროექტი წარმოდგენა ამხანაგმა შ. გორგოძემ. ამ განკარგულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალებოდა თავისი ძალებით და შინაგანი ჯარების და არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით მიეღო დამატებითი ზომები ქალაქში სახოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, გაეყენა მთავრობის სახლის და სახტელერადიოს წინ მოედნიდან უსანქციო მიტინგის მონაწილეები (ამასთან დაკავშირებული იყო, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ძალა არ გამოეყენებინათ), მოედნის განთავისუფლების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენებით გადაეკეტა მთავრობის სახლის მიედანზე შემოსასვლელი გზები, ასევე სახტელერადიო და, აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა ადგილებიც, მათ შორის მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტები; უსანქციო მიტინგის ორგანიზატორების მიმართ მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები.

ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, იმავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამტკიცა მთავრობის სახლის წინ მოედნიდან უსანქციო მიტინგის მონაწილეთა გაყვანის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მოედნის განთავისუფლებას მხოლოდ საკუთარი ძალებით. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემგან დამოუკიდებელი და გაუგებარი მიზეზების გამო მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნული განკარგულება, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიტინგის მონაწილეთაგან მოედნის განთავისუფლების გეგმა, არ შესრულდა, რასაც მოჰყვა ყველასთვის ცნობილი ტრაგიკული შედეგი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე თქვენს ყურადღებას ამიტომ ვამახვილებ, რომ 16 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ ამ სხდომის თაობაზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნებისთვ თუ უნებლიეთ დაშვებულია სერიოზული ხასიათის უზუსტობანი, რომლებიც სრულიად ცვლიან მოვლენათა განვითარების ფაქტობრივ სურათს და საზოგადოების თვალში ამძიმებს და ამუქებს ჩემს როლს ამ საქმეში და ჩემს წილ პასუხისმგებლობას, რომელსაც, რა თქმა უნდა, მე არ ვიხსნი.

საგანგებო ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ: „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ გასცა განკარგულება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა შეეშუშავებინა დამატებითი ღონისძიებანი ქალაქში წესრიგის დასამყარებლად, კონკრეტულად კი გამოეყენებინა საამისოდ შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები და ჩაერთო არმიის ნაწილები“.

ამ საკითხის ასეთი ფორმით გადმოცემა ინფორმაციაში არ ითვალისწინებს შეტად მნიშვნელოვან ნიუანსებს და ამახინჯებს არსებულ ფაქტებს.

მე კი არ გავეცი განკარგულება, არამედ მიღებულ იქნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად, ამხანაგ შ. გორგოძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით. განკარგულების შინაარსი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიეცემული დავალება და მისი შესრულება ზემოთ დაწვრილებით არის აღწერილი.

— „ზ. ჩხეიძემ ამ განკარგულების დაუყოვნებლივ გაცემა იმით ახსნა, რომ ქალაქში საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები არ მუშაობდა, რაც დაუშვებელი იყო“.

ეს სწორი არ არის, ვინაიდან ქარხნებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ. მინისტრთა საბჭოს განკარგულება კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოიცა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე. რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების ქარხნებს, კომისიის სხდომაზე აღვნიშნე: სიტუაცია გაამწვავა იმან, რომ მიტინგის მონაწილეები საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფებად მიდიოდნენ თბილისის და რუსთავის მსხვილ საწარმოებში და მშრომელთა კოლექტივებს გაფიცვისათვის მოუწოდებდნენ.

— „მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ უარყო წინა სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას განცხადება, რომ იგი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, რომელმაც გადაწყვეტა სამხედრო ძალის გამოყენება“.

ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებაზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი ბიუროს სხდომებზე, როგორც ზემოთ ვთქვი, ბიუროს სხდომებზე მიღებული იყო 7 აპრილის დადგენილება, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შემოეღოთ საგანგებო წესები, და 8 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა შინაგანი ჯარების და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით გაეთავისუფლებინა მთავრობის სახლის წინ მოედანი. ბიუროს სხდომებს ამხანაგი ოთარ ჩერქეზია ესწრებოდა, და თუ კი იყო საერთოდ მსჯელობა ბიუროს სხდომაზე მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებაზე, ასეთ ბიუროს არც მე დავსწრებივარ.

— „თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მას (ზ. ჩხეიძეს) ხაზგასმით უთხრა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კოჩიტოვმა, რომ გამოვიყენებთ მხოლოდ ფარებს და რეზინის ხელკეტებს და არავინ არ დაშავდებიო“.

ასეთი ბაზარი ჩემსა და კ. კოჩიტოვს შორის საერთოდ არ ყოფილა და ამის თაობაზე მე კომისიის სხდომაზე არაფერი არ განმიცხადებია.

რაც შეეხება თითქოს და ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის ინფორმაციაში აღნიშნულ განცხადებას, ოთარ ჩერქეზია და ზურაბ ჩხეიძე ხალხის გაფრთხილების წინააღმდეგი იყვნენო, აქ, ეტყობა, რაღაც უზუსტობა უნდა იყოს, ვინაიდან ინფორმაციაში წარმოდგენილი ტექსტით ჩემთვისაც გაუგებარია, რის გამო უნდა გაგვეფრთხილებინა ხალხი და რის წინააღმდეგი ვიყავი მე.

— და ბოლოს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია საკაბინეთო ინფორმაციაში წარმოდგენილი ამხანაგ ჯ. პატიაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ „...7 აპრილს ბიუროს სხდომის დაწყების წინ მასთან მოვიდნენ კოჩიტოვი და როდიონოვი. როდიონოვმა აცნობა, რომ მას დავალებული ჰქონდა ყველა ჯარის ხელმძღვანელობა“. თუ ეს ინფორმაცია სწორია, მაშინ ჩვენს ყველა შემდგომ გადაწყვეტილებას აზრი ეკარგება, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იძენს და ბევრი რამ თავიდან ხდება გასაბრალებელი და გასარკვევი“.

* * *

ბ. მეტონინაძე გვთხოვა, ღია წერილის სახით გამოვაქვეყნოთ მისი შემდეგი განცხადება:

„გაზეთ „კომუნისტის“ 16 მაისის ნომერში დაბეჭდილ საინფორმაციო ცნობაში ნათქვამია: „8 აპრილს, საღამოს 7 საათზე ისევ შეიკრიბა ბიურო, რომელმაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა თავისი ჯარის ქვედანაყოფებით და არმიის ნაწილების დახმარებით დაეშალა მიტინგი“.

მე, როგორც საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრი და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხსენებულ ბიუროს სხდომას მე არ დავსწრებივარ“.

რედაქციისაგან:

● მკითხველებს ვაუწყებთ, რომ ჩვენი გაზეთის მოკლე ანგარიშები კომისიის სხდომების შესახებ მთლიანად ეყრდნობოდა მათი მსვლელობის დროს გაკეთებულ განცხადებებს, რომელთა სრული ჩანაწერები არსებობს.

კონსტატაციები

ოკეანეზე გადებული ხიდი

უველაზერი ოცი წლის წინათ დაიწყო. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ახალგაზრდა ასპირანტი დი ენ ჰოლისკი ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ენათმეცნიერი გახდა, რომელმაც გადაწყვიტა ქართული ენა შეესწავლა.

— უნივერსიტეტის ასპირანტებისათვის საგალდებულო იყო რომელიმე ენის შესწავლა, რომელიც არ შედიოდა ინდოევროპული ენების ოჯახში, — თქვა დ. ე. ჰოლისკიმ. — საბოლოოდ არჩევანის გაკეთებაში დამეხმარა ცნობილი ლინგვისტი, ქართული ენის სახელმძღვანელოს ავტორი ჰოვარდ არონსონი, რომელმაც შეგვაფასებინა კავკასიური, და კერძოდ ქართული ენების საფუძვლები.

მას შემდეგ პირველი შესაძლებლობისთანავე იგი საქართველოში ჩამოდის, ეწევა მეცნიერულ მუშაობას წოვა-თუშურ დიალექტზე, ეცნობა ქართველი ხალხის ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და უნიკალურ ტრადიციებს.

შეერთებულ შტატებში ბევრი არაფერი იცან საქართველოზე, — თქვა შემდეგ მეცნიერმა. — თავდაპირველად მეც არავითარი წარმოდგენა არ მქონდა თქვენს რესპუბლიკაზე. აქ აღმოვაჩინე ჩემთვის ახალი, თავისთავადი მხარე. საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, ენის ცოდნა კი დამეხმარა უკეთ ჩავწვდომოდი ხალხის სულს, მის კულტურას. თქვენი მეგობრობის, ურთიერთდახმარების უნარი აღფრთოვანებას იწვევს. ამერიკაში ასეთ რამეს იშვიათად თუ შეხვდები. ზოგჯერ სამშობლოში მენატრება ხოლმე ადამიანების ის გულთბილი ურთიერთობა, როგორსაც საქართველოში მივეჩვიე.

მომდინარე წლის გაზაფხულზე ამერიკელი ქართველოლოგი მეექვსედ ეწვია საქართველოს, მაგრამ ახლა თავის შვილი წლის ქალიშვილთან შუქიასთან ერთად.

— სტუდენტებისა და მეცნიერი მუშაკების გაცვლის შესახებ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ხელშეკრულების მეობებით შევძელი კვლავ ჩამოსულიყავი საქართველოში, — თქვა ჰოლისკიმ. მიმაჩნია, რომ ნაცნობობისა და კონტაქტების ასეთი პრაქტიკა ჩვენს დროში ხულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და ახალი პოლიტიკური აზროვნების მიღწევას წარმოადგენს.

ამერიკის სულ უფრო მეტი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრი დაინტერესებული პარტნორული ურთიერთობა დაამყაროს თბილისის უნივერსიტეტთან.

პაატა ცინცაძე,
საქინფორმის კორ.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის მისამართით მოდის დეპეშები და წერილები, რომლებიც ნათელს ფენენ მომხდარის რეალურ სურათს, გამოხატავენ ადამიანების დამოკიდებულებას იმ ღამის ამბების მიმართ. აქ მოყვანილია ნაწყვეტები ორი წერილიდან, რომლებიც კომისიას გამოუგზავნეს თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრისა და მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის კოლექტივებმა. მომხდარი ამბის გამო შეძრწუნებული, მწუხარებისა და გულისწყრომის გრძნობით აღსავსენი, ისინი უარყოფენ მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ჭორებს საქართველოში რუსი მოსახლეობის მიმართ ძალადობის აქციების შესახებ, მოგვიწოდებენ თვალის ჩინვით მოვუფრთხილდეთ ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას.

— პატივცემულო კომისიის წევრებო! — წერენ გრიბოედოველები. — მოგმართავთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი თეატრალური კოლექტივის მსახიობები, რეჟისორები, ყველა თანამშრომელი,

148 წელია იმ ადგილზე, სადაც ჩვენი შესანიშნავი შენობაა, არსებობს რუსული თეატრი — ორი დიდი კულტურის ერთიანობის, ორი ხალხის — ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის კერა. მთელი ამ წლების განმავლობაში არ მომხდარა ისეთი საშინელება, რომელიც განვიცადეთ ჩვენ, რუსთაველის, იმ კაცის პროსპექტზე, მომხდარი. ტრაგედიის მოწმეებმა, რომელმაც წარმოთქვა სიტყვები: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“

თვეზე მეტი გავიდა იმ მოვლენების შემდეგ და ახლა, როცა ვაანალიზებთ ყველაფერს, კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ ჩადენილია დანაშაული ერის, შესანიშნავი ხალხის წინაშე, რომელიც მთელ მსოფლიოში განთქმულია მეგობრობის უნარით, თავისი სტუმართმოყვარეობით; ჩადენილია დანაშაული გარდაქმნის, საჯაროობის, დემოკრატიის წინაშე.

თითქმის ყოველმა ჩვენგანმა მრავალი წელი იცხოვრა საქართველოში. ბევრი კი ამ მიწაზე დაიბადა. ქართველ ხალხთან გვაკავშირებს ათასობით ძაღვი, ხშირად ეს არის სისხლითი, ნათესავური კავშირიც. ჩვენთვის საკმარისებთ ნათელია, რომ თბილისში მიტინგის გარეკვა გარდაქმნის საწინააღმდეგო აქციაა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ შემოაბრუნოს მოვლენები, დაგვაბრუნოს უძრაობის დროში, და იქნებ, უფრო შორეულ დროშიც, რომლის მიმართაც ნოსტალგია, როგორც ჩანს, აქვთ გარკვეულ ადამიანებს. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არიდებენ თვალს ცენტრალური ტელევიზია, მთელი რიგი ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები უცილობელ ფაქტებს და სურთ ყველაფერი ამოწურონ მხოლოდ ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხით, ავრცელებენ პროვოკაციულ ჭორებს საქართველოში რუსი მოსახლეობის მიმართ ძალადობის აქციების შესახებ.

ვის სჭირდება ეს სიცრუე? — კითხულობენ გრიბოედოველები, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენს მიმართ არ ვგრძნობთ ეროვნული განწყობილების გამოვლენას და, მით უმეტეს, ძალადობის რაიმე აქტის გამოვლენას.

მომხდარმა ამბებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს იმაში, რომ ბიუროს სხდომებს ამხანაგი ოთარ ჩერქეზია ესწრებოდა, და თუ კი იყო საერთოდ მსჯელობა ბიუროს სხდომაზე მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებაზე, ასეთ ბიუროს არც მე დავსწრებივარ.

— „თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მას (ზ. ჩხეიძეს) ხაზგასმით უთხრა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კოჩიტოვმა, რომ გამოვიყენებთ მხოლოდ ფარებს და რეზინის ხელკეტებს და არავინ არ დაშავდებიო“.

ასეთი ბაზარი ჩემსა და კ. კოჩიტოვს შორის საერთოდ არ ყოფილა და ამის თაობაზე მე კომისიის სხდომაზე არაფერი არ განმიცხადებია.

რაც შეეხება თითქოს და ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის ინფორმაციაში აღნიშნულ განცხადებას, ოთარ ჩერქეზია და ზურაბ ჩხეიძე ხალხის გაფრთხილების წინააღმდეგი იყვნენო, აქ, ეტყობა, რაღაც უზუსტობა უნდა იყოს, ვინაიდან ინფორმაციაში წარმოდგენილი ტექსტით ჩემთვისაც გაუგებარია, რის გამო უნდა გაგვეფრთხილებინა ხალხი და რის წინააღმდეგი ვიყავი მე.

— და ბოლოს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია საკაბინეთო ინფორმაციაში წარმოდგენილი ამხანაგ ჯ. პატიაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ „...7 აპრილს ბიუროს სხდომის დაწყების წინ მასთან მოვიდნენ კოჩიტოვი და როდიონოვი. როდიონოვმა აცნობა, რომ მას დავალებული ჰქონდა ყველა ჯარის ხელმძღვანელობა“. თუ ეს ინფორმაცია სწორია, მაშინ ჩვენს ყველა შემდგომ გადაწყვეტილებას აზრი ეკარგება, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იძენს და ბევრი რამ თავიდან ხდება გასაბრალებელი და გასარკვევი“.

* * *

ბ. მეტონინაძე გვთხოვა, ღია წერილის სახით გამოვაქვეყნოთ მისი შემდეგი განცხადება:

„გაზეთ „კომუნისტის“ 16 მაისის ნომერში დაბეჭდილ საინფორმაციო ცნობაში ნათქვამია: „8 აპრილს, საღამოს 7 საათზე ისევ შეიკრიბა ბიურო, რომელმაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა თავისი ჯარის ქვედანაყოფებით და არმიის ნაწილების დახმარებით დაეშალა მიტინგი“.

მე, როგორც საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრი და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხსენებულ ბიუროს სხდომას მე არ დავსწრებივარ“.

„ᲩᲐᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ...“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის მისამართით მოდის დეპეშები და წერილები, რომლებიც ნათელს ფენენ მომხდარის რეალურ სურათს, გამოხატავენ ადამიანების დამოკიდებულებას იმ ღამის ამბების მიმართ. აქ მოყვანილია ნაწყვეტები ორი წერილიდან, რომლებიც კომისიას გამოუგზავნეს თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრისა და მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის კოლექტივებმა. მომხდარი ამბის გამო შეძრწუნებული, მწუხარებისა და გულისწყრომის გრძნობით აღსავსენი, ისინი უარყოფენ მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ჭორებს საქართველოში რუსი მოსახლეობის მიმართ ძალადობის აქციების შესახებ, მოგვიწოდებენ თვალის ჩინვით მოვუფრთხილდეთ ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას.





ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ“ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება

ᲙᲘᲜᲝᲡ სახლში გაიმართა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დაარსებიათვის 1985 წლიდან იღვწოდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გრ. აბაშიძე, ჯ. ამირეჯიბი, ი. ბეგიშვილი, გ. გეგეჭკორი, ლ. თაბუკაშვილი, ო. თურმანაული, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, მ. კახიძე, მ. მაჭავარიანი, რ. მიშველაძე, ლ. მრეღლაშვილი, ლ. სანიკიძე, ა. სულავაკური, გ. ფანჯიკიძე, მ. ფოკაზიშვილი, მ. ქურდიანი, ჯ. ღვინჯილია, თ. წიფლიძე, ნ. წულეისკირი და რ. ჯაფარიძე.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კონფერენციას მოახსენა მწერალმა მ. ქურდიანმა.

ქართველ მწერალთა და მეცნიერთა მონდომებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერის შედეგად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 ნოემბრის განკარგულებით რუსთაველის საზოგადოებასთან ურიგიდეული პირის უფლებით დაარსდა საქართველოს დემოგრაფიული ფონდი. მაგრამ ვინაიდან დემოგრაფიული საკითხები მოითხოვენ კომპლექსურ გადაწყვეტას მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, ცხადი გახდა, რომ არ შეიძლებოდა დემოგრაფიული ფონდის მოღვაწეობის შეზღუდვა ერთი რომელიმე, თუნდაც ყველაზე მრავალრიცხოვანი, საზოგადოების ფარგლებით.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამოეყოს საქართველოს დემოგრაფიული ფონდი და ეწოდოს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია მწერალი და მეცნიერი, პროფესორი ლევან სანიკიძე.

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა

1900 წლის 2 თებერვალს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „23 იანვარს ბათუმიდან გავიდა საფრანგეთის გემი „პეიხო“, დატვირთული სხვადასხვა საგნებით და საქონლით, რომელიც კავკასიიდან იგზავნება პარიზის მომავალი გამოფენისათვის. სულ ამ გემით გაიგზავნა 600 ფუთამდე ექსპონატები კავკასიის მრეწველობის ნაწარმოებისა, სხვათა შორის, შესანიშნავი ხალიჩების კოლექცია, სულ გაიგზავნა 47 სხვადასხვა გვარის ხალიჩა, მათ შორის მშვენიერი ხალიჩა თავად ბაგრატიონ-მუხრანსკისა, სიგრძით 8,3/4 არშინი და სიგანით 7,1/4 არშინი, ღირებული 2000 მანეთად. შემდეგ ყურადღებას იქცევს ვერცხლის ნივთების კოლექცია, ღირებული 7.427 მანეთად. შემდეგ — მშვენიერი ნიმუშები აბრეშუმისა, მატყლისა და სხვა სამეურნეო ნაწარმისა“. ამავე გაზეთის ცნობით, ბოლო ექსპონატები პარიზში გაიგზავნა 14 თებერვალს, რომელთა შორის იყო იმერული შალების კოლექცია.

აღნიშნული კოლექციები საფრანგეთში გაიგზავნა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის. აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველო მონაწილეობდა ფილადელფიისა (1876 წ.) და ჩიკაგოს (1894 წ.) მსოფლიო გამოფენებში.

„კავკასიის განყოფილებას“, რომელშიც წარმოდგენილი იყო საქართველო, რუსეთის პავილიონში დაეთმო ადგილი. გამოფენის მოწყობა დავალებული ჰქონდა კავკასიის მუზეუმის (ამჟამად საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი) დირექტორს გუსტავ რადეს. საერთო ხელმძღვანელად კი დაინიშნა რ. ისარლიშვილი. ეს იყო კავკასიის მუზეუმის ექსპონატების პირველი მოგზაურობა საზღვარგარეთ.

გარდა ზემოთ აღნიშნული მასალებისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის საკმაოდ მდიდარი კოლექციები.

ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად მაინც გაიცნეს ჩვენი ქვეყანა.

პარიზის მსოფლიო გამოფენაზე „კავკასიის განყოფილებას“ საკმაო ჯილდოები ხვდა წილად. გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ოქროს მედალი დაიმსახურა კავკასიის მუზეუმმა და გ. რადემ.

მუზეუმიდან ძირითადად წარმოდგენილი იყო ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო საქართველოს მატერიალური კულტურის შესანიშნავ ნიმუშებს მხოლოდ რვა ათეული წლის შემდეგ გაეცნენ ევროპელები. თუმცა, ქართულ არქეოლოგიას მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათქვამი თავისი სიტყვა.

პარიზის მსოფლიო გამოფენის გახსნამდე გაზეთი „ივერია“ გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სხვა ხალხებს „აქამდის ვერ გავაცანით ვერც ჩვენი თავი, ვერც ნაყოფი ჩვენის ქვეყნისა, ვერც განძი, რომელიც ამარხია ჩვენის ქვეყნის გულში და რომელმაც აქვთ საქვეყნო წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა“. დღეს ქართველ კაცს ეს გულისტკივილი აღარა აქვს. „ჩვენი ქვეყნის გულში დამარხული განძი“ კარგა ხანია დიდი ელვარებით ამობრწყინდა და საერთო აღიარება მოიპოვა. ამ განძის ნიმუშების ხილვა კვლავ პარიზელებს ხვდათ წილად პარიზის მსოფლიო გამოფენიდან 82 წლის შემდეგ, 1982 წელს. ეს იყო საქართველოს მუზეუმების კოლექციათა მეორე მოგზაურობა. ამჯერად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. ექსპოზიცია „ოქროს საწმისის ქვეყანაში“, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების ნამუშევრები, გაიხსნა გრან-პალეს ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში. იგი მოწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წინადადებით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო უძველესი არქეოლოგიური მასალა, ოქროჭედლობის უნიკალური ნივთები. მათ შორის ბრინჯაოს საპარადო ცული, აჟურული ბალთა და საკიდი ცხვრის თავის გამოსახულებით, ბრინჯაოს სარტყელი და სხვა.

ოქრომჭედლური ხელოვნების მრავალი ნიმუში ექსპონირებული იყო აგრეთვე საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდანაც, წარმოდგენილი იყო, აგრეთვე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ექვსი ქართული ხელნაწერი.

ექსპოზიცია დაამშვენა სვეტიცხოვლის, იყალთოს, გელათის, ზემო კრიხის საერთო ხედების ფერადმა ფოტოსურათებმა.

გრან-პალეს გამოფენას, რომელიც ათი ათასობით პარიზელმა და ქალაქის სტუმრმა დაათვალიერა, დიდი წარმატება ხვდა წილად. ამაზე მეტყველებს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიები.

გაზეთი „მონდი“ წერდა: „გრან-პალეში გამართული გამოფენა, რომელიც შედგება 122 ექსპონატისაგან, მათ შორის სპილოს ძვლის ნივთებისა და ხატებისაგან, ეფექტიანად წარმოაჩენს არამონუმენტური ქართული ხელოვნების ყველა ასპექტს, რომელმაც შეინარჩუნა ორიგინალობა სხვადასხვა გავლენის შესაყარზე...

გამოფენაზე ვერ ჩამოიტანეს ხახულის ტრიპტიქი, რომელიც ძალზე ფაქიზია ასეთი შორეული მოგზაურობისათვის, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს მარტვილის ჯგუფი. ქართველი ოსტატები მარჯვედ „მოსავდნენ“ თავიანთ ნახელავს. ამან განაპირობა დიდებული ხატების ძვირფასი მოჭედილობა, მრავალი . შტ

ქართული დროშები

მკითხველს შესაძლოა ამ წერილში ზოგი რამ სადავო მოეჩვენოს, მაგრამ მისი მიზანია სადისკუსიოდ მოიწვიოს კომპეტენტური ისტორიკოსები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ჩვენი აზრით, დადგა დრო ქართული ეროვნული დროშის ისტორიის სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლისათვის, მით უფრო ახლა, როცა მუშავდება საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი.

განვლილმა აპრილმა ნათლად დაგვანახა, რომ არც ერთი საკითხის, მნიშვნელოვანი პრობლემისა თუ ამოცანის შესწავლა და მოგვარება არ უნდა მოხდეს ცალმხრივად, საერთო განხილვის და ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, მით უმეტეს, როცა საკითხი სახელმწიფოებრივ სიმბოლოს ეხება, უშუალოდ დაკავშირებულს და შესისხლხორცებულს ერის ისტორიასთან.

ილია ჭავჭავაძემ დროშის მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოხატა: „დროშას ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმნიკველობლად დაცვისათვის — არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი... სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“.

ქართულ ისტორიულ წყაროებში დროშის მრავალგვარი მნიშვნელობაა წარმოჩენილი: იგი არის ძალაუფლების გამომხატველი სიმბოლო, ჯარის ნაწილებისა და სარდლების განმასხვავებელი ნიშანი, სხვადასხვა ზეიმის აუცილებელი ატრიბუტი და საკულტო საგანიც კი.

უძველეს ქართულ დროშებზე ნაწილობრივ ცნობებს იძლევა არქეოლოგიური გათხრების მასალები, ხოლო VI საუკუნიდან — საისტორიო წერილობითი წყაროების ფრაგმენტები. თუმცაღა ძველი ქართული დროშების სრული სახის აღსადგენად უმეტესად ჰიპოთეზები არსებობს, რომელთა დასამტკიცებლად საკმაო ნივთიერი და წერილობითი საბუთი არ შემონახულა. თუმა საუკუნეებისა და მისი შემდგომი პერიოდიდან კი შემორჩენილია დროშათა ერთი მცირე ნაწილი და სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით, მათი შეჯერება-შეერთებით შესაძლებელია უფრო გამოიკვეთოს ქართული დროშების იერსახე.

სარა ბარნაველის ნაშრომში „ქართული დროშები“ ჩვენი სახელმწიფოებრივი დროშები დაყოფილია შემდეგნაირად:

1. დროშები, რომლის ალამი ქსოვილისა იყო, ალმის ზემოდან ტარზე გაკეთებული იყო დროშის თავი. სავარაუდოა, რომ ასეთ დროშებს მიეკუთვნებოდა სამეფო გორგასლიანი დროშა, ასეთივე უნდა ყოფილიყო მეფის მცველთა დროშებიც.

2. დროშები, რომლებიც შესდგებოდა ტარზე დამაგრებული ლითონის დისკოსაგან, რომლის ორივე მხარეს რაიმე იყო გამოხატული. ეს დროშები სამთარ დროშებს წარმოადგენდნენ.

3. ცხოველის ფორმის დროშები: ქსოვილიდან გაკეთებული ცხოველის ფორმის დროშები. ასეთი დროშებიდან ჩვენამდე შემორჩენილია სვანეთის დროშა („ლომი“).

4. სამეფო და საეკლესიო ლაბარემები: ოთხკუთხედი ან ხუთკუთხედი ფირფიტა, რომელიც გარდიგარდმო დამაგრებულია ბუნზე (ტარზე).

5. დროშა-ჯვრები — საეკლესიო დროშები, რომლებიც წარმოადგენენ ბუნზე (ტარზე) დამაგრებულ ჯვარს.

სავარაუდოა, რომ უძველესი ხანის ქართველი ტომების დროშებზე გამოსახული ყოფილიყო ნაყოფიერების ღვთაებისა და მზის სიმბოლოები.

ელინურ ხანაში ქართულ სახელმწიფოებში არსებული დროშების იერსახე ცნობილი არ არის. ამასთან, მაგალითად კოლხეთის დროშაზე, შესაძლებელია, გამოხატული ყოფილიყო იგივე სიმბოლიკა, რაც კოლხურ მონეტებზეა აღნიშნული — ლომი, ლომის თავი, ხარის თავი, ხარისთავა ადამიანი — ღვთაება და ქალის სახე (იგი კოლხეთის დედოფლის პორტრეტებად შეიძლება მივიჩნიოთ), ლომი და ხარი მზის კულტთან არის დაკავშირებული.

საქართველოში რომაელების ლაშქრობის შემდეგ ლაბარუმის (ოთხკუთხედი ფირფიტა დამაგრებული ტარზე) სახის დროშები უნდა ხმარებულიყო. დროშების ერთი სახე — ცხოველის ფორმის დროშები ყოფილა (ლომის, გველეშაპის და სხვ.).

IV საუკუნიდან საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა აღიარებული. ცხადია, ადრეული ქრისტიანული და შემდგომ ბიზანტიური ხელოვნება თავის კვალს დასვამდა ქართული დროშების გამოხატულებებს. სამწუხაროდ, აღწერილობა შემორჩენილი არ არის.

ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ X-XV საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო სამეფო დროშას ეწოდებოდა „სეფე დროშა“, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიტანდნენ ხოლმე. ამასთან ერთად იყო მეორე პატარა დროშაც. იგი უფრო ხშირად იხმარებოდა და მეფის პირად დროშად ითვლებოდა.

სამეფო დროშების გარდა იყო კარის მოხელეთა — ამირსპასალარისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მმართველებისა, საქართველოს მეფის ჯარისა, მეფის მცველთა და საეკლესიო დროშები. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, საქართველოს ამირსპასალარის განკარგულებაში 12-მდე დროშა იყო. ამასთან, XII-XIV საუკუნეთა ისტორიულ თხზულებებში საქართველოს სამეფო დროშებს ძლევამოსილ მეფეთა სახელებით მოიხსენიებენ: გორგასალიანი, დავითიანი, ბაგრატიონური.

რაც შეეხება დროშების ფერს, ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორიაში აღნიშნავს: „რა ფერისა იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა და ალამი, ამის აღწერილობა ქართულ საისტორიო წყაროებში არ მოგვეპოვებაᲐ. იმიტომ, რომ ყოველმა ქართველმა მაშინ ეს იცოდა და ამაზე ლაპარაკიც მეტი იქნებოდა. სამაგიეროდ უცხოელ ზოგიერთ ისტორიკოსთა და მოგზაურთა თხზულებებში შემონახულია ამ საგნის შესახებ ცნობები“.

XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს სტეფანოზ ორბელიანს, რომელიც ქართველთა შთამომავალი იყო, ერთგან აღნიშნული აქვს: საქართველოში „წესად იყო, რომ ხელმწიფის დროშას ბუნი (ტარი) თეთრი უნდა ჰქონოდა, ხოლო ალამი — წითელი (შვინდისფერი), ხოლო მათ (ე. ი. ორბელიანებს), რომელთაც საქართველოში ამირსპასალარის თანამდებობა ეკავათ, ებრძანათ, რომ დროშის ბუნი წითელი ჰქონოდათ, ალამი კი თეთრი“...

სტეფანოზ ორბელიანის საპირისპირო ცნობას გვაწვდის პონონელი მოგზაური კოტოვიჩი, რომელიც წერს, რომ ქართული ეროვნული დროშის ბუნი წითელი იყო, ხოლო ალამი — თეთრი. ამირსპასალარის დროშას კი ტარი თეთრი უნდა ჰქონოდა, ალამი კი წითელი.

ივ. ჯავახიშვილი განმარტავს: „მაშასადამე საქართველოს სახელმწიფო დროშისათვის ორი ფერი ყოფილა არჩეული: თეთრი და წითელი (ანუ მუქი შვინდისფერი. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი მეორე. სახელმწიფო ანუ სამეფო ხელისუფლების ნიშნები).

საინტერესო ცნობას იძლევა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“: „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა, დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა“. (წიგნი ხატაელთა მეფისა, ტარიელის წინაშე მოწერილი პასუხად). თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ნაწარმოების მიხედვით ზემოაღნიშნული დროშის ფერები ხატაელთა სამეფო დროშაა.

წითელთან ერთად შავი ფერი მოხსენიებულია XIV საუკუნის ძეგლშიც „გარიგება ხელმწიფის კარისა“, სადაც ნათქვამია „...დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი, თავგადაჭეფილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი“. „...შეიძლება გვეფიქრა, რომ „დაბარჩამნი ორნი“ ორ ბატარა დროშას ნიშნავს, ან კიდევ დროშის ორ ბუნს (ტარს)“, — წერს ი. სურგულაძე „ქართული სამართლის ძეგლებში“ დიდი დროშის ფერზე, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, „სეფე“ დროშა იყო. აღნიშნულ წერილობით წყაროში არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება ორ ბატარა დროშას, ერთი თეთრი და ერთი შავი, შესაძლოა, პირადი ან მეფის მცველთა დროშებია.

სახელმწიფო დროშის ფერს მიგვანიშნებს ჯუანშერიც (თამარის პირველი ისტორიკოსი): „დროშა მოსპეტაკებულ“ (სპეტაკი, ე. ი. თეთრი). მისი მოსაზრება ემთხვევა კოტოვიჩისას. თეთრი იყო მეფის მცველთა ალმებიც.

ფორმის მხრივ ალამი სწორკუთხედია, ზოგჯერ სწორკუთხედი ორი სამკუთხა ფორმის კალთით მთავრდება და აქვს ვიწრო აშიები.

დროშის თავები ძირითადად ჯვრის ფორმისა იყო, ამასთან, გვხვდება შუბის ბუნიკის ფორმისაც (სარა ბარნაველი).

სხვადასხვა გამოსახულებებს ვხვდებით როგორც თვით დროშებზე, ისე მათ თავებზეც. გამოსახულება უმთავრესად რელიგიური ხასიათისაა: ღვთისმშობელი ყრმით, იესო ქრისტე, მთავარანგელოზი ან რომელიმე წმინდანი, — უმრავლესად, წმინდა გიორგი.

კვირიკეს დროშა (შუა საუკუნეების) ზემო სვანეთში, კვირითია, ან ცხენოსანი და ან გველეშაპს ჰგმირავს შუბით, ან წარმართ მეფეს.

XIV საუკუნიდან თითოეულ სამეფოს თავისი დროშა ჰქონდა.

შვინდისფერია ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის სამეფო დროშის ალამი, მოწითალო-მოვარდისფერო—იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ალამი, კახეთის მეფის ალამი კი მომწვანო-ბალახისფერია, სამცხე საათაბაგოსი — თეთრი. ყველა ალამზე იყო გამოხატულებანი, ძირითადად საღვთო ხასიათისა. ერთ ნაწილზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, მეორე ნაწილზე — მთავარანგელოზი, მესამეზე — ბაგრატიონთა საგვარეულოსთან დაკავშირებული ემბლემები. ქართლის დროშაზე გამოსახულია გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, აქეთ-იქით კი ლომი და ხარი.

იმერეთის მეფის დროშაზე (XVII ს.) წმინდა დემეტრე ყოფილა გამოსახული.

ცნობილია ცალკეული სამთავრო-სამეფოების გერბების სიმბოლიკა, რომელიც სავსებით შესაძლებელია, რომ დროშებზეც მეორდებოდა და ეს ნაწილობრივ კიდეც მტკიცდება ისტორიული წყაროებით. (მ. ვადბოლსკი, „საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა“).

აფხაზეთის გერბზე გამოსახული იყო ჯიხვი და მის ზემოთ სამი ნახევარმთვარე.



სვანეთის გერბზე — დათვი მთების ფონზე.

ოდიშის გერბზე — ტახი, რომელსაც წინა ფეხებით უჭირავს თეთრი დროშა. კიდეც — ფრინველი და ოთხი ვარსკვლავი.

გურიის გერბზე — შველი და მის თავზე მნათობი.

იმერეთის გერბზე — ირემი, რომელსაც რქებს შუა ჯვარი ედგა.

სამცხე საათაბაგოს გერბის ორი ვარიანტია ცნობილი: ერთ შემთხვევაში მწოლიარე ლომს წინა თათებში უჭირავს თეთრი დროშა. დროშაზე გამოხატულია მოხრილი ხმალი, მის ზემოთ და ქვემოთ თითო ვარსკვლავია.

კახეთის გერბზე — ფროთხან ნატრისფერ ცხენს ტორით მომწვანო დროშა უჭირავს, ზემოთ გვირგვინია გამოსახული.

ვახტანგ VI-ის პირად დროშაზე (მუქი შვინდისფერი) ერთ მხარეს დავით წინასწარმეტყველი და ბაგრატიონთა გერბის ემბლემებია (ქნარი, შურდული, კომბალი, სასწორი, სკიპტრა, ხმალი, სფერო) გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს — კვართი და სვეტიცხოველი. აქეთ-იქით — მირიან და წმინდა ნინო, მზე, მთვარე, ვარკვლავები. ირგვლივ დავითის ფსალმუნიდან სტრიქონებია, ასომთავრული შესრულებული (დროშა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობით, ვახტანგ VI-ეს ეს დროშა ნაუღია რუსეთში, რომელიც ბაქარის ჩამომავლისაგან თავად გოლიცინის ხელში მოხვედრილა.

სოლომონ I-ის დროშა-ალამი ვარდისფერია. ერთ მხარეს გამოხატულია ცხენოსანი წმინდა გიორგი, მეორე მხარეს კი მთავარანგელოზი აწვდილი ხმლით.

გიორგი XIII-ის, ერეკლე II-ის ძის „საუფლისწულო“ დროშა-ალამი ყვითელი და მოცისფრო ფერისაა და მასზე ღვთისმშობლის ხატია გამოსახული. (დროშა დამზადებულია თეიმურაზ II-ის ბრძანებით).

პაპუა მოურავის (ქიზიყის მოურავის პაპუა ანდრონიკაშვილის) დროშა ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ალამი ორფერი აბრეშუმისაა — თეთრი და შვინდისფერი. მასზე მოთავსებულია გამოსახულება — წმინდა გიორგი გმირავს გველეშაპს.

კვირიკეს დროშა (შუა საუკუნეების) ზემო სვანეთში, კვირიკეს და ივლიტას ეკლესიაშია შემონახული. ალამი ყვითელი ფარჩისაა, ერთი მხარე ბრჭყვიალაა, მეორე ბუნდი ქსოვილისაა. დროშის თავი ვერცხლის ჯვარს წარმოადგენს. დროშაზე გამოსახული არიან კვირიკეს ლეგენდის პერსონაჟები (დედა და ყრმა, წმინდა შვილი).

იუონ ბატონიშვილის დროშა (მე-19 საუკუნის დასაწყისი) ქართული საომარი დროშაა, ალამი ძირითადად თეთრია, მასზე სწორკუთხა წმინდა გიორგის ხატია მოთავსებული, განიერი მოოქროვილი ზოლით მოჩარჩოებული.

გურიის ერისთავის დროშა, შვინდისფერი აბრეშუმისა, წმინდა გიორგისა და დიმიტრის ცხენოსანი გამოსახულებებით, XVIII საუკუნისაა (სარა ბარნაველი).

საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა, რომელზეც აღნიშნულია ქართველი თავადიშვილებისა და ერისთავების დროშები. ამ რუკის მიხედვით ალავერდის დროშა ყავისფერია, ენისელისა — მოყვითალო, ქიზიყისა — თეთრი, ზემო ქართლის — ყვითელი, მუხრანისა — მწვანე, საციციანოსი — წითელი, საბარათიანოსი — თეთრი და სხვა.

ქართული დროშები

ვახუშტი ბატონიშვილისეულ აღნერილობას ივანე ჯავახიშვილი პირობითს უწოდებს, რამდენადაც ისტორიულ წყაროებში ანალოგი არ გვხვდება.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ძველ ქართულ დროშებში რამდენიმე ფერი გვხვდება: შვინდისფერი, თეთრი, მოყვითალო, ვარდისფერი, მწვანე, ოქროსფერი და სხვ. ყველაზე გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს შვინდისფერი და თეთრი. თუმცაღა შეიძლება ითქვას, რომ ფერი ერთგვარი ფონის როლს ასრულებდა. ძირითადი იყო გამოსახულება, რომელიც რელიგიური რწმენის გავლენის შესაბამისად იცვლებოდა. თავდაპირველად ნაყოფიერების ღვთაებისა და მზის სიმბოლოები იყო გამოსახული, შემდგომში (ელინისტურ ხანაში) ცხოველებისა (ლომი, ხარი, მგელი და სხვ.), ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ — ღვთისმშობელი ყრმით, იესო ქრისტე, მთავარანგელოზი და სხვა წმინდანები, უმეტესად მაინც წმინდა გიორგის გამოსახულებანი.

XVIII საუკუნის მინურულს, რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სამეფო ძალაუფლების ნიშნები, მათ შორის დროშა, მეფე ერეკლე II-ს რუსეთიდან გამოუგზავნეს. „წელსა 1783 მეფემან ირაკლიმ სთხოვა მფარველობა იმპერატრიცა ეკატერინას. მან მფარველობის ტრაქტატი უბოძა მეფისაგე თანხმობითა. იმპერატრიცამ უბოძა მეფესა სამეფო ნიშანი, ესე იგი: გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და დროშა“.

ოქტომბრის რევოლუციიც შემდგომ, 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე პირველად ოფიციალურად გამოჩნდა სამფეროვანი (შვინდისფერი, თეთრი, შავი) დროშა. ზოგიერთ გამოცემებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული დროშის ფერები თამარის დროშის ფერებს შეესაბამებოდა. ეს სადავოა, რამდენადაც ცნობილია, თამარის მეფობის პერიოდში არ არსებობდა საკუთრივ თამარის დროშა და იხმარებოდა ბაგრატ III-ის და დავით აღმაშენებლის დროშები, რომლებიც ან შვინდისფერია ან თეთრი.

1918 წლის 26 მაისს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ზემოთ აღნიშნული სამფეროვანი დროშა აღიმართა მთავრობის სასახლის თავზე (დღევანდელი პიონერთა სასახლე), როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა.

დროშის ფერები არ შეიძლება შემთხვევით შეირჩეს. სახელმწიფო დროშა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სიმბოლოს. იგი უნდა ატარებდეს გარკვეულ მნიშვნელობას, რაც ერისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ისტორასთანაა დაკავშირებული.

აქ, ალბათ, არც სხვა სახელმწიფოთა დროშებთან შედარება მოგვცემს რაიმეს. მაგალითად, აღნიშნული სამი ფერის შეხამებას ვხვდებით ზემო ვოლტის სახელმწიფო დროშაზე. სხვა თანმიმდევრობით და სხვა კონფიგურაციით იგივე ფერებისაგან შედგება იემენის არაბული რესპუბლიკის, ერაყის, ლიბიის, ეგვიპტის და სხვათა (ძირითადში არაბული სამყაროს) სახელმწიფო დროშები. მათი მნიშვნელობა და სიმბოლიკა, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარია, სხვა შინაარსი და ახსნა აქვს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ვიმედოვნებთ, რომ სპეციალისტები გამოეხმაურებიან პუბლიკაციას და ჭეშმარიტების დადგენაშიც დაგვეხმარებიან.

მაგრამ თვით ფაქტი იმისა, რომ სამფეროვანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად იქნა მიჩნეული, უდავოა. აქვე დავსძენთ, რომ ხშირად აღნიშნულ დროშას მენშევიკების დროშას უწოდებენ, რაც სწორი არაა.

1918 წლის 26 მაისს ქართული ეროვნული დროშა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) ჩამოხსნეს და მის ნაცვლად წითელი დროშა აღმართეს. ამას ქართველი საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა და დროშა კვლავ აღმართეს. ცოტა ხანს ორივე დროშა იყო აღმართული: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა. და სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) დროშა.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, სადაც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის დროშაა შვინდისფერი ალამი, შავი და თეთრი ხოლით“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ერთ ხანს იხმარებოდა წითელი დროშა, ხოლო 1922 წელს დამტკიცებული იქნა საბჭოთა საქართველოს ახალი დროშა. წითელი ფერის ქსოვილის მარცხენა ზედა კუთხეში მოთავსებული იყო წარწერა ქართულად, ოქროს ასოებით „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ (ს. ს. ს. რ.).

1953 წელს დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ ახალი სახელმწიფო დროშა, რომელიც წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის წითელ ქსოვილს. სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 1:2. ზედა კუთხეში ტართან მოთავსებულია ცისფერი კვადრატი, მის შუაგულში წრეა, წრეში ნამგალი და უროა, მათ თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, წრიდან კვადრატის გვერდებს 24 სხივი ეფინება. კვადრატის მარჯვენა გვერდის შუაგულიდან დროშას მთელ სიგრძეზე გასდევს ცისფერი ზოლი.

რაც შეეხება ტერმინის განმარტებას, „დროშა“ ქართულ ორიგინალურ ტექსტებში პირველად შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრებაში გვხვდება.

„დროშა“-ს განმარტებაში სულხან-საბა ორბელიანს მოყვანილი აქვს სიტყვა „დრაუჟი“, ლათინურად — „ფერად-ფერადი, გუნდთა საცნობელი“.

XII საუკუნისათვის ვხვდებით ტერმინს „დროშაკი“. საფიქრებელია, რომ იგი იხმარებოდა დროშათა განსაზღვრული ტიპისათვის.

XV-XIX საუკუნეების ძეგლებში გვხვდება ტერმინი „ბავრაყი“. საბას განმარტებით „ბავრაყი“ სამღვდელო (ეკლესიის) დროშაა.

ალამი — ეს ტერმინი ჩვეულებრივ იხმარებოდა ქართულ წყაროებში. „ალამი“ არაბული სიტყვაა და ნიშანს, დროშას აღნიშნავს.

ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორია აქვს, ასევე მრავალფეროვანია მისი თანმხლები დროშების ისტორია. სრული პასუხი აქ წამოჭრილ კითხვებზე საუკუნეთა სიღრმეშია მიმალული და მაინც ვფიქრობთ, რომ ერთობლივი ძალისხმევითი, სხვადასხვა მასალას დაყრდნობით და შეჯერება-შეერთებით შესაძლებელია უფრო ზუსტი მტკიცებების მოძიება, ჭეშმარიტების აღდგენა. პუბლიკაციის მიზანიც სწორედ ეს არის.

ამირან თავართქილაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

ავტორის თხოვნით ამ წერილის ჰონორარი გადაირიცხება აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა დაზარალებულთა ფონდში.

რუსეთან დედოფლის დროშაკი. ვახტანგ VI დროშის მეორე მხარე.

თბილისელები—თბილისს

საქართველოს კულტურის ფონდის ხელმძღვანელობის თაოსნობით გაიმართა თბილისის მკვიდრთა, ქალაქის ღირსეული წარმომადგენლების — მეცნიერების, ინჟინრების, ეკონომისტების, იურისტების, სპორტსმენების, მრეწველობის, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკთა შეკრება.

თბილისის სხვადასხვა უბნის რწმუნებულთა პირველი შეკრების მთავარი იდეა ამგვარად ჩამოყალიბდა: ყველა ჭეშმარიტმა თბილისელმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქალაქის ცხოვრებისა და ყოფის ყველა მხარის შემდგომ სოციალურ-კულტურულ განვითარებაში თუ საქველმოქმედო-სახალხო მოძრაობაში.

დღეს უკვე არავისთვის აღარ არის საეჭვო, რომ ჩვენი ქალაქი ჰკარგავს თავის ტრადიციულ იერსახეს. თანდათან დავიწყებას ეძლევა კეთილშეზობლობის, ურთიერთდახმარების, ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ის ტრადიციები, რაც თბილისს მისთვის განუმეორებელ სახეს უნარჩუნებდა და განასხვავებდა სხვა ქალაქებისაგან.

აუცილებელია ქალაქის ძველი თუ ახალი უბნების განაშენიანების, გამწვანების, ტრანსპორტიული მემორიალური ადგილებისა და ტოპონიმიკის აღდგენისა და შენარჩუნების საკითხების ისე განხილვა და გადაწყვეტა, რომ რამდენადმე მაინც შევინარჩუნოთ თბილისის უსახური, ულრანტალი, უგვანო ქალაქად გადაქცევის მძლავრი ინერციაა.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს „კულტურის ფონდის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა, პროფესორმა თენგიზ ბუაჩიძემ. კულტურის ფონდის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით ციციშვილმა დამსწრეთ გააცნო კონკრეტული სამოქმედო გეგმა. საქართველოს კულტურის ფონდთან შეიქმნა ქალაქ თბილისის შემდგომი სოციალურ-კულტურული განვითარების ხელშემწყობი საქველმოქმედო საზოგადოება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს, საქმიანი წინადადებები წამოაყენეს გურამ მირიანაშვილმა, როინ მეტრეველმა, ოთარ არობელიძემ, ოთარ ლითანიშვილმა, მურმან შუბითიძემ, თამაზ თეგზაძემ, მერაბ ალექსიძემ, ზურაბ ლომიძემ, ვაჟა ძღენტმა, რობერტ ურჯუმელაშვილმა, გივი კარტოზიამ, ავთანდილ საყვარელიძემ და სხვებმა.

შეკრების მონაწილეებმა მოუწოდეს საქართველოს ყველა ქალაქს შექმნან ანალოგიური ორგანიზაციები.

შეკრებაზე შექმნილ სარედაქციო კომისიას დაევალა შეიმუშაოს საზოგადოების საწესდებო დებულების პროექტი და განსახილველად წარუდგინოს საზოგადოების დამფუძნებელ კომიტეტს. აირჩიეს საზოგადოების საკოორდინაციო-საორგანიზაციო საბჭო 25 წევრის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია დავით ციციშვილი.

სხდომები გაიმართება ყოველ შაბათს დილის 10 საათზე კულტურის ფონდის საქჭო დარბაზში.

მარატ ღვალაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07171 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორაუსი, ხოშარაულის 29 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14

უბრუნდებათ ძველი სახელი

ხალხის მოთხოვნით

ორჯონიკიძე. („კომუნისტის“ საკ. კორ.). 15 მაისს გაიმართა ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა საკითხი: ორჯონიკიძის რაიონის, დაბა ორჯონიკიძისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ხარაგაულის სახელის გადარქმევის შესახებ სესიამ გადაწყვიტა ორჯონიკიძის რაიონს ეწოდოს ხარაგაულის რაიონი, დაბა ორჯონიკიძეს — დაბა ხარაგაული, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ხარაგაულს — სადგური ხარაგაული.

ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ დადებითად გადაწყვიტოს ეს საკითხი.

* * *

გაიმართა წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს რიგგარეშე სესია. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებების საკითხთა კომისიის რეკომენდაციის თანახმად განიხილა საკითხი, რომ ქალაქ წულუკიძესა და წულუკიძის რაიონს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახელი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რომ ქალაქ წულუკიძეს დაერქვას ქალაქი ხონი, წულუკიძის რაიონს — ხონის რაიონი.

თუშური მოტივები. სიმონ ყილაძის ფოტო.

შეხვედრა ბათუმის ინტელიგენციასთან

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). აჭარაში მყოფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 16 მაისს შეხვდა ბათუმის ინტელიგენციას.

ილია მეორე იყო სტიქიით დაზარალებულ აჭარის მთიანეთში, სოფლებსა და სხალთის ეკლესიაში შეხვდა მოსახლეობას. მან შეკრებილთ შთაბეჭდილება გაუზიარა ნახულისა და განცდილის ირგვლივ. შემდეგ ილაპარაკა ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე.

სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუტაიშვილმა, პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა ვახტანგ წულუკიძემ, აჭარის განათლების მინისტრის მოადგილემ მაუკალა რომანაძემ, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ, სახელმწიფო თეატრის დირექტორმა შოთა დავითაძემ და სხვ.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ხანმოკლე წვიმა ჭექ-ქუხილით, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 18-23, ღამით 10-15, მთებში დღისით 14-19, ღამით 5-10, მაღალმთიანეთში დღისით 10-15, ღამით 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მოღრუბლულობა, ზოგან — ხანმოკლე წვიმა, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან კი 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა ბარში — დღისით 22-27, ღამით — 10-15, მთაში —დღისით 16-21, ღამით 4-9, მაღალმთიანეთში დღისით 11-16, ღამით 0-5 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვლადობდა მოღრუბლულობა, უნალექო, ჩრდილო დასავლეთის ქარი 9-14, ხოლო ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში. ტემპერატურა დღისით 25-27, ღამით 13-15 გრადუსი სითბო.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 17 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ საქინფორმის მასალაში „ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე“ მე-3 სვეტის პირველ აბზაცში რედაქციის მიზეზით დაშვებულია შეცდომა: მესამე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს — „შეხვდა შვედ ბიზნესმენს“.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის თასზე

ნახევარფინალში!

თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „სპარტაკი“ — 2:0

ეს მატჩი რომ უალრესად პრინციპული იყო, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. სათასო შეხვედრას ყოველთვის ახასიათებს უკომპრომისო და შეუპოვარი ბრძოლა. მართალია, მოსკოვის „სპარტაკი“ ჩემპიონატის ლიდერია, თბილისელებს კი მოკრძალებული ადგილი უჭირავთ სატურნირო ცხრილში, მაგრამ გუშინ მახპინძლებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, თუ რა შეუძლია მონდომებასა და თავგამოდებას. „დინამოს“ მთელი თამაშის მანძილზე ხელთ ეპყრა ბრძოლის სადავეები და დამახასიათებელი გამარჯვებაც მოიპოვა. შემთხვევითი არ არის, რომ საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა არა რომელიმე ფეხბურთელს, არამედ დინამოელთა მთელ გუნდს.

ანგარიში 31-ე წუთზე გაიხსნა. პარჯენა ფრთიდან ჩამოწოდებული ბურთი უძლიერესი და მეტად ეფექტური თავური დარტყმით გაიტანა ცხადაძემ. მანამდეც და მერეც დინამოელებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, თან დაცვაშიც ფხ